# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცბიერობით და ჭორებით ხალხის გაცდენა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ორშაბათი, 26 თებერვალი. 2024 წ. №23 (9703) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru | ფასი 1 ლარი





# ბრიუსელიდან „ვივამედამდე“

იხ. 3 გვ.







ხომ არ აჯობებდა, ზურაბიშვილის საპრეზიდენტო ვადის ამოწურვისთანავე პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმებაზე გვეფიქრა? სხვას რომ თავი დავანებოთ, ღარიბმა ქვეყანამ რატომ უნდა ყაროს ათეულობით მილიონი არაფრის მაქნისი ინსტიტუტის შესანახად?

## ბინძური ხელები შორს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისგან!

2024 წლის 6 თებერვალს, საქართველოს უსაფრთხოების სფეროს მკვლევართა ასოციაციის (უსმა/USMA, თავმჯდომარე ბესიკ ობოლაძე) მიერ ჩატარებულ კონფერენციას დავესწარი. თემა განსაკუთრებული იყო – „მეცნიერება და ინოვაციები ქვეყნის განვითარებისა და უსაფრთხოებისათვის“.

ერთ-ერთ გავლენიან გაზეთს („ასავალ დასავალი“) ინტერვიუ მივეცი, სადაც ვამბობ: „მე იქ გამოსვლები მოვისმინე, მოხსენებები იყო, გაოცება ვერ დავფარე. ხალხს ცოდნითა და იდეებით „თავი უსკდება“, მაგრამ ეს ხალხი დაბლოკილია, ეს განათლებული და პატიოსანი ადამიანები, ფაქტობრივად, ინიციატივის ხარჯზე მუშაობენ, სათანადო ხელშეწყობა არსაიდან აქვთ, მართვის სადავეებთან მათ არავინ უშვებს“.

მე არ ვარ ტექნიკური მიმართულების დარგის სპეციალისტი, მაგრამ ფეხი არ მომიცვლია მეცნიერთა ამ საინტერესო თავყრილობიდან – ან როგორ მოვიცვლიდი – „საქართველოს საგამომგონებლო პოტენციალი, შესაძლებლო-






ბები, რეალობა“; „კომუნიკაცია დედამიწის დაბალი ორბიტის თანამგზავრებით“; „ენერგეტიკა, თანამედროვე პრობლემები და მომავლის ალტერნატივა“; „ინოვაციური მიდგომები რადიაციულ უსაფრთხოებაში“; „ოზონი“ ნატურალური პიგმენტების უნარჩენო მაღალ რენტაბელურ წარმოებაში“, „ბიო-რაციონალური ტექ-ინოვაციები სამკურნალო ღვინის საწარმოებლად“ და ა.შ.

ეს იმ საკითხების არასრული სიაა, რომელზეც სერიოზული, გამოცდილი პრაქტიკოსი მკვლევრები, თეორეტიკოსი მეცნიერები საქმიანად მსჯელობდნენ და იმედს გვისახავდნენ, რომ საქართველო გადარჩება.

იხ. 4-5 გვ.

## SOS! ნარკომანია: დღეს გაცილებით უფრო რთული მდგომარეობა გვაქვს, ვიდრე ოდესმე გვქონია!

7

## ხოჯალი – XX საუკუნის ტრაგედია




6

მშვიდობა კავკასიას!

# 25 თებერვლის ოკუპაცია



**25 თებერვალი საბჭოთა ოკუპაციის დღეა – წელს ამ თარიღიდან 103 წელი გავიდა. 1921 წლის 25 თებერვალს თბილისი მე-11 წითელმა არმიამ დაიკავა და საქართველო რუსული საბჭოთა იმპერიის ნაწილად იქცა.**

დამოუკიდებლობის დაკარგვას რეპრესიები, პოლიტიკური პარტიების აკრძალვა, ათასობით ადამიანის დახვრეტა, პატიმრობა და გადასახლება მოჰყვა. ხუთკვირიანი ბრძოლისა და გმირული თავგანწირვის მიუხედავად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეებმა, ვერ შეძლეს დამოუკიდებლობის დაცვა. 25 თებერვალს დაწყებულმა საბჭოთა ოკუპაციამ 70 წელი გასტანა.

* * *

**საბჭოთა ოკუპაციის დღესთან დაკავშირებით, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ, პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა და თბილისის მერმა კახა კალაძემ კოჯორში იუნკერთა მემორიალი გვირგვინებით შეამკეს და 1921 წლის თებერვალში საქართველოს დამოუკიდებლობისთვის დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგეს.**

კოჯორში ასევე იმყოფებოდა საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ჩიქოვანი.

**„უმძიმესი დღეებია საქართველოს ისტორიაში, მაგრამ, ამავდროულად, ამ დღეებში მთელმა მსოფლიომ, სამყარომ დაინახა, თუ რაოდენ დიდი იყო სიმამაცე, პატრიოტიზმი საქართველოს სახელმწიფოს მცველების. მათი საქციელი, თავდადება საუკუნეები იცოცხლებს და საუკუნეების განმავლობაში ჩვენ ყოველთვის გავიხსენებთ მათ, როგორც სიმბოლოს თავისუფლებისთვის ბრძოლისათვის და როგორც სიმბოლოს უდიდესი პატრიოტიზმის გრძნობის მატარებელი ადამიანების. დიდი მადლობა მათ და დიდება გმირებს“**, – განაცხადა თავდაცვის მინისტრმა. საქართველოს პარლამენტის 2010 წლის 21 ივლისის დადგენილების თანახმად, 25 თებერვალი საბჭოთა ოკუპაციის დღედ არის გამოცხადებული.

## აშშ-ის საელჩო: აღგვაფრთოვანებს ქართველი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სიყვარული, საქართველოს ევროპისკენ მიმავალ გზაზე შეერთებული შტატები თქვენ გვერდითაა

საბჭოთა ოკუპაციის დღეს საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო ეხმაურება.

**„ამ ტრაგიკულ დღეს ვიხსენებთ მათ, ვინც საბჭოთა ოკუპაციას შეეწირა. აღგვაფრთოვანებს ქართველი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სიყვარული. საქართველოს ევროპისკენ მიმავალ გზაზე შეერთებული შტატები თქვენ გვერდითაა“**, – აღნიშნულია საელჩოს ფეისბუქგვერდზე.

ყველა ნიჭზე ძლიერია ქვეყნის დაცვის ნიჭი...

# სამხედროები დაჯილდოვდნენ



**თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, სამხედრო მოსამსახურეებს გუშინ სერტიფიკატები და სამკერდე ნიშნები საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურმა, გენერალ-მაიორმა გიორგი მათიაშვილმა გადასცა. მან უფროს ლეიტენანტ ომარ ბაკურაძეს, ლეიტენანტ ემილ ფოჩხუას, უფროს სერჟანტ გიორგი ალავერდაშვილს, უმცროს სერჟანტ მალხაზ თარხნიშვილსა და კაპრალ მურთაზ ედიშერაშვილს დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულებისთვის მადლობა გადაუხადა და სამშობლოს სამსახურში წარმატებები უსურვა.**

საუკეთესო სამხედროების შერჩევა კვარტალში ერთხელ, სხვადასხვა კრიტერიუმით, მათ შორის, დისციპლინის, ფიზიკური და საბრძოლო მომზადების დონით, დაკისრებული მოვალეობების შესრულების ხარისხით, გადაწყვეტილების მიღებისა და გუნდში მუშაობის უნარის მიხედვით ხორციელდება. პროექტის მიზანი სამხედრო მოსამსახურეების მოტივაციისა და საბრძოლო მზადყოფნის დონის ამაღლებაა

არ წახვიდეთ, რუსებო!

# ქართველი ვაჭრები „შავ პარასკევს“ კი არა, „შავ წელიწადს“ ელოდებიან!

**2023 წელს რუსეთიდან შემოსული მინიმუმ 17% პროცენტმა დატოვა საქართველო. გადინება გაგრძელდა 2024 წლის დასაწყისშიც. სამეზობლოდან შემოსულმა უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა დიდი გავლენა მოახდინეს სავაჭრო და მომსახურების სექტორებზე. მათი მეშვეობით რეალიზაცია მკვეთრად გაიზარდა, მაგრამ მოთხოვნის მკვეთრ ზრდას ფასების მატებაც მოჰყვა. ახლა მდგომარეობა შეიცვალა – მოთხოვნა აღარ არის, მაგრამ ფასები ქვემოთ არ დაძრულა.**

კვლევის ანგარიშში – „2024 წლის მაკროეკონომიკური მოლოდინები და 5 მთავარი თემა“ – აღნიშნულია, რომ 2024 წელს მიგრანტების ნაწილობრივი გადინების მიუხედავად, ეკონომიკა 5.6%-ით გაიზრდება და გაცვლითი კურსიც სტაბილური იქნება.

**„2024 წელს მიგრანტების გადინება ტურიზმის გაძლიერებით და ადგილობრივი მოხმარების ზრდით დაბალანსდება. 2024 წელს მიგრაცია არ იქნება საცხოვრებელი უძრავი ქონების დინამიკის განმსაზღვრელი“**, – ნათქვამია **„თიბისი კაპიტალის“** კვლევაში.

მიგრანტების გადინებამ ყველაზე მეტად გავლენა სავაჭრო და მომსახურების სექტორზე იქონია. შესაბამისად, ამ სეგმენტში წელს კლებას ელოდებიან, რასაც ადასტურებს კიდეც „აი სი არ ჯგუფის“ ხელმძღვანელი **კახა ხაზარაძე**. როგორც მან აღნიშნა, სექტორმა, პანდემიამდელ პერიოდთან შედარებით 95%-ით აღიდგინა პოზიციები, მაგრამ წელს ვითარება შეიცვლება.

## მიგრანტები მიდიან – სავაჭრო სექტორში ფიქრობენ, რომ წელს ვარდნას ვერ ასცდებიან!..

**„პანდემიამდელ პერიოდს თუ შევადარებთ, რითეილ სექტორში რეალიზაცია 95%-ით აღდგა, თუმცა ჩვენ კლებას ველოდებით. მიგრანტების გასვლა უკვე აისახა და 2024 წელს გაყიდვები დაახლოებით, 10-15%-ით არის შემცირებული. ეს შედეგი ჩვენ უკვე გასულ შემოდგომაზეც უნდა გვქონოდა, მაგრამ გამოვიყენეთ ე.წ. „შავი პარასკევი“ და შევძელით ვარდნა დაგვეკომპენსირებინა. ამასთან, მოგეხსენებათ გლობალური პოლიტიკური ვითარებაც. წელს რამდენიმე ქვეყანაშია არჩევნები, ასეთ ვითარებაში კი**



**გრძელვადიანი პორგნოზების კეთება ბიზნესისთვის რთულია, ამას დავამატოთ ისიც, რომ საინვესტიციო ფული გაძვირდა. ამიტომ ვფიქრობთ, ეს წელი შარშანდელზე მძიმე იქნება, მაგრამ რამდენით, ამის თქმა რთულია“**, – აღნიშნა „პალიტრანიუსის“ ეთერში **ხაზარაძემ.**

დაახლოებით იგივე მოსაზრების არიან მომსახურების სფეროს წარმომადგენლებიც. რესტორატორთა ასოციაციის ხელმძღვანელი **შოთა ბურჯანაძე** ადასტურებს, რომ საქართველოში ბიზნესზე მიგრანტების ეფექტი, ფაქტობრივად, ამოიწურა და რესტორნები ახლა, ძირითადად, ადგილობრივ მომხმარებლებს ემსახურებიან.

**„მიგრანტების ეფექტი შემცირებულია. შეიძლება ითქვას, რომ რეალურად რესტორნები, რომლებიც ბაზარზე არიან, ძირითადად, ადგილობრივ სეგმენტზე მუშაობენ. ვნახოთ, წელს როგორ განვითარდება მოვლენები“**, – აღნიშნა **ბურჯანაძემ.**

თუკი ამა თუ იმ სექტორში მოთხოვნა ეცემა, შესაბამისად, პროდუქტზე (მომსახურებაზე) ფასიც უნდა შემცირდეს. ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტ **პაატა ბაირახტარის** აზრით, ახლა ნამდვილად არის იმის წინაპირობა, რომ ფასები ძველ ნიშნულზე დაბრუნდეს.

**„ჩაცხრა აჟიოტაჟი და ამიტომ, პარარელურად, ფასებიც უნდა დაბრუნდეს ძველ ნიშნულზე. ინფლაციის მაჩვენებელს თუ შევხედავთ, მიზნობრივზე გაცილებით დაბალია და არ არსეობობს იმის საფუძველი, რომ ფასები მაღალ ნიშნულზეც შენარჩუნდეს. თავიდანვე ცხადი იყო, რომ მოთხოვნა სხვადასხვა მიმართულებით ერთჯერადად მზარდი იყო და ის აუცილებლად დაუბრუნდებოდა ბუნებრივ კალაპოტს. დღეს სწორედ ეს მოცემულობა გვაქვს და რასაკვირველია, ის ერთჯერადი მოთხოვნიდან „წამოსული“ ფასები უნდა დაუბრუნდეს ძველ ნიშნულს“**, – დასძინა ბაირახტარმა.

ბექა დანელია













**ხომ არ აჯობებდა, ზურაბიშვილის საპრეზიდენტო ვადის ამოწურვისთანავე პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმებაზე გვეფიქრა? სხვას რომ თავი დავანებოთ, ღარიბმა ქვეყანამ რატომ უნდა ყაროს ათეულობით მილიონი არაფრის მაქნისი ინსტიტუტის შესანახად?**

# ბრიუსელიდან „ვივამედამდე“

**თუ ქვეყნის ზოგიერთ რეგიონში განვითარებულ მეწყრულ პროცესებსა და პატიმარ სააკაშვილის განცხადებას არ გავითვალისწინებთ, მოვდივარ დამიხვდითო, გასულმა კვირამ უჩვეულოდ წყნარად ჩაიარა.**

**ვფიქრობ, ჩვენი მოქალაქეებისთვის ყველაზე საინტერესო მოვლენა იყო პრემიერის რანგში ირაკლი კობახიძის პირველი ოფიციალური ვიზიტი ევროკავშირის დედაქალაქ ბრიუსელში; მისი უაღრესად იმედისმომცემი შეხვედრები ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტთან, სხვა მაღალი თანამდებობის პირებთან და, რაც მთავარია, NATO-ს ხელმძღვანელთან. მოვისმინეთ ევროკომისრების ოფიციალური განცხადებები საქართველოს ევროკავშირში გაწევრების მხარდასაჭერად. ყველაფერი ეს დაწვრილებით გააშუქეს ქვეყნის საინფორმაციო საშუალებებმა, შეაფასეს პოლიტიკურმა ანალიტიკოსებმა და პირადად პრემიერმაც. მართალია, ვერც კობახიძემ, ვერც მთავრობის რომელიმე სხვა წევრმა პრეზიდენტ სალომეს, ხაზეს, სოფოს, მეზისა და მამუკას გულების აჩქროლება (გულის მოგებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია!) ვერ მოახერხეს, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება – ეს იყო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციისკენ.**

გასულ კვირას გაიმართა ფინანსთა მინისტრის, ლაშა ხუციშვილის გეგმური გამოსვლა საქართველოს პარლამენტის წინაშე. მან დაწვრილებით ისაუბრა ქვეყანაში არსებულ ფინანსურ ვითარებაზე, წარმატებებზე, პრობლემებზე და სამომავლო გეგმებზე. მართალია, საპარლამენტო უმრავლესობისგან ტაში დაიმსახურა, მაგრამ ოპოზიციის მძაფრ კრიტიკას, თუ ცოტა უფრო დაწვრილმანდებით, ლანძღვა-გინებას, მაინც ვერ გაექცა. განსაკუთრებით გამოირჩა თავისი უაზრო ინტელექტუალიზმით სახელგანთქმული ბატონი ვაშაძე (უმცროსი).

ძალიან ვწუხვარ, მაგრამ უნდა დავუბრუნდე პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის თვალთმაქცურ საგარეო და საშინაო დიპლომატიას. ალბათ მისაყვედურებთ, ამაზე საუბარი საერთოდ, არ ღირსო, მაგრამ მე არ მივეკუთვნები საქართველოს მოქალაქეთა იმ ნაწილს, ვისაც ზურაბიშვილი „ჩემს პრეზიდენტად“ არ მიაჩნია – მომწონს თუ არ მომწონს, იგი იურიდიულად არის ჩემი პრეზიდენტი, მოქმედებს ჩემი სახელით და ანგარიშვალდებულია ჩემს წინაშე. ბუნებრივია, რომ გულს მტკენს მისი ჩემდამი „ფეხებზე მკიდიხარ“ დამოკიდებულება. იმედია მიმიხვდით, რომ ვგულისხმობ მის არაფრისმაქნის, არაფრისმომტან საზღვარგარეთულ თვითნებურ ვოიაჟებს, მთავრობასთან ანტაგონისტურ დამოკიდებულებას და იმ საზოგადოებასთან ჩახუტებას, ვინც თავის დროზე მთელი საქართველო ლამის მოუსავლეთში გაისტუმრა. მესმის, რომ ისტორიაში პრეზიდენტის მთავრობასთან შეურიგებლობის ფაქტები არსებობს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, პრეზიდენტი უნდა გადადგეს (საპრეზიდენტო მმართველობის ქვეყნებს არ ვგულისხმობ).

დარწმუნებული ვარ, ამას ჩვენი უახლოესი შთამომავლობაც კი არ დაიჯერებს – ოცდამეერთე საუკუნის ოციან წლებში საქართველოს პრეზიდენტი კრიჭაში უდგას საქართველოს ამომრჩეველთა უმრავლესობას და მეგობრობს იმ საზოგადოებასთან, ვინც ხელისუფლებაში მისვლას (უფრო სწორად, ძალაუფლების ხელში ჩაგდებას) სახელმწიფო გადატრიალების გზით აპირებს!

კიდევ ორიოდე სიტყვა, ზოგადად, პრეზიდენტის ინსტიტუტზე.

**დამოუკიდებელი საქართველოს ხანმოკლე ისტორიას თუნდაც ცალი თვალით რომ გადავხედოთ, ერთ უცნაურ მოვლენას დავინახავთ: პიროვნულად მისთვის და მთელი საქართველოსთვის ტრაგიკული აღმოჩნდა ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობა; ტრაგიკული აღმოჩნდა ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობა; პიროვნულად მისთვის და მთელი საქართველოსთვის ტრაგიკული აღმოჩნდა მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობა; მთლად ტრაგიკული-მეთქი ვერ ვიტყვი, მაგრამ აშკარად ტრაგიკომიკური იყო გიორგი მარგველაშვილის პრეზიდენტობა; თუ ასე გაგრძელდა, სალომე ზურაბიშვილის პრეზიდენტობაც პირადად მისთვის და მთელი საქართველოსთვის ტრაგიკულად დამთავრდება.**

ამ და კიდევ ბევრი სხვა მიზეზის გამო, ხომ არ აჯობებდა, ზურაბიშვილის საპრეზიდენტო ვადის ამოწურვისთანავე პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმებაზე გვეფიქრა? სხვას რომ თავი დავანებოთ, ღარიბმა ქვეყანამ რატომ უნდა ყაროს ათეულობით მილიონი არაფრის მაქნისი ინსტიტუტის შესანახად?

უნიჭო და ხელმოცარული მოპოლიტიკოსო უსაქმურების ბუდუარად ქცეული ორბელიანების სასახლე კი მშვენიერი საჩუქარი იქნება ქართული ხელოვნებისთვის...

* * *

**ქართულ შეურიგებლად ოპოზიციურ მედიასა და ოფიციოზში თითქმის მთელი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა კამათი ცესკოს თავმჯდომარის, მისი მოადგილეებისა და მოსამართლეთა დანიშვნა-დამტკიცების თაობაზე.**

შეგახსენებთ, რომ საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელებისა და ყველა დონის მოსამართლეების დანიშვნის წესი, მათი ვინაობა მნიშვნელოვანია ქვეყნის ყველა მოქალაქისა და, ბუნებრივია, პოლიტიკოსებისთვის. თუმცა, აღმოჩნდა, რომ ეს გახლავთ სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა იმ ადამიანებისთვის, ვინც თავს შეურიგებელ ოპოზიციას უწოდებს.

ძალიან მოკლედ, ოპოზიციის კატეგორიული მოთხოვნაა, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე წარადგინოს ოპოზიციამ, აირჩიოს პარლამენტმა და დაამტკიცოს პრეზიდენტმა. ეს ნიშნავს, რომ ცესკოს ხელმძღვანელობის არჩევა, ფაქტობრივად, ვერასოდეს ვერ მოხერხდება, ანუ ვერ ჩატარდება საპარლამენტო არჩევნები. კიდევ უფრო რთულადაა მოსამართლეთა პრობლემა. ოპოზიციის აზრით, ისინი, თურმე უნდა დაინიშნონ ე. წ. ვეტინგის წესით – საქართველოში მოქმედი ევროპული ქვეყნების საელჩოების, ან რომელიმე ერთი ქვეყნის საელჩოს წარდგინებით! ამის თაობაზე ჯერჯერობით არაფერი თქმულა, მაგრამ, სავარაუდოდ, იმ საელჩოებსაც (ან საელჩოს) ოპოზიცია შეარჩევს. ამასთან დაკავშირებით, მეც მაქვს ერთი მოკრძალებული წინადადება – საფრანგეთში, ბელარუსში და ამერიკის ტეხასის შტატში მოსამართლეები დაინიშნონ ხაზეიშვილის წარდგინებით. მართალია, ეს კაცი ელჩი არ არის, მაგრამ ხაზეიშვილია, მსოფლიოში აღიარებული ქართული ნაციონალური მოძრაობის დიდი ლიდერი. თანაც, ახალთახალი პალტოც აქვს და ბოტასებიც!

პარლამენტის და, კერძოდ, ალეკო ელისაშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საკმაოდ ხანგრძლივი მცდელობის შემდეგ მიღებულია გადაწყვეტილება ლიბერთი ბანკიდან საპენსიო სესხების პროცენტების და სასესხო წესების შეცვლის შესახებ. სასესხო გადასახადი დაიწევს 25 პროცენტამდე, გაუქმდება ოვერდრაფტის წესი. შეგახსენებთ, რომ ოვერდრაფტი გულისხმობს საპროცენტო განაკვეთების გადახდას ისე, რომ არაფერი აკლდება ძირითად ნასესხებ თანხას.

**შემიძლია საკუთარი გამოცდილება გაგიზიაროთ. 2019 წლის ივლისში ლიბერთი ბანკიდან ვისესხე 2000 ლარი. ოთხი თვის შემდეგ კიდევ დამატებით – 400 ლარი. ყოველთვიურად პატიოსნად ვიხდიდი 100-100 ლარს (მაჭრიდნენ პენსიიდან). ანუ, სულ ბანკისგან ვისესხე 2400 ლარი, 43 თვის განმავლობაში გადავიხადე – 4300 და... გადასახდელი დამრჩა – 2450!**

**დარწმუნებული ვარ, ჩემნაირ გაუგებრობაში დღესაც ძალიან ბევრი პენსიონერია და კარგი იქნება, თუ ამას ოდესმე ბოლო მოეღება.**

* * *

**მკითხველებს ალბათ გახსოვთ, ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში რა კამათი და დაპირისპირება მიმდინარეობდა „რესპუბლიკური საავადმყოფოს“ თაობაზე. გასულ კვირაში ეს პრობლემაც მოულოდნელად, სწრაფად და დაპირისპირებული მხარეებისთვის მისაღებად გადაიჭრა.**

პრემიერი ირაკლი კობახიძე ჯანმრთელობის დაცვის მინისტრთან, სხვა დაინტერესებულ პირებთან ერთად შეხვდა საავადმყოფოს თანამშრომლებს. გადაწყდა, რომ საავადმყოფო არ დაიხურება, არ დაინგრევა, სამედიცინო და ტექნიკური პერსონალი ძველებურად გააგრძელებენ მუშაობას. ახალი საავადმყოფო კი უახლოესი სამი წლის განმავლობაში იქვე აშენდება.

* * *

**ერთი ძალიან შემაშფოთებელი ინფორმაციაც: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უშიშროების სამსახურის ცნობით, 1 იანვრიდან 23 თებერვლამდე ქვეყანაში ნარკოტიკების შემოტანისთვის დაკავებულია 270 ადამიანი. მათ შორის საქართველოს, იორდანიის, სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთისა და სხვა ქვეყნების მოქალაქეები. დაკავებულთა რიცხვი, გეოგრაფია და ნარკოტიკების რაოდენობა მიუთითებს, რომ საქართველო თანდათან რეგიონულ ნარკოცენტრად ყალიბდება.**

* * *

**მართალია, პრეზიდენტი პუტინი მსოფლიოს არწმუნებდა, უკრაინის პრობლემას ორიოდე კვირაში მოვაგვარებო, მაგრამ გასულ კვირაში რუსეთ-უკრაინის სისხლიანი დაპირისპირებიდან ორი წელი შესრულდა. რუსეთი თავის დანაკარგებს არ ასაჯაროებს. ოფიციალური მონაცემებით, უკრაინის ადამიანური, სოციალური, ეკონომიკური და მორალური დანაკარგები კოლოსალურია – ოკუპირებულია უკრაინის მთელი ტერიტორიის 20 პროცენტი.**

ოფიციალურად, ქვეყანა დატოვა ათ მილიონზე მეტმა ადამიანმა. მხოლოდ ბოლო ერთი წლის განმავლობაში ეკონომიკა შემცირდა 30 პროცენტით, საარსებო დახმარების იმედად დარჩენილია მოსახლეობის 40 პროცენტი. ამის ფონზე ცინიკურად გამოიყურება უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკის განცხადებები უახლოეს მომავალში უკრაინელი ხალხის უეჭველი გამარჯვების თაობაზე. დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და თვით აშშ-ში იზრდება უკმაყოფილება მეომარი მხარეების ფინანსური და სამხედრო მხარდაჭერის გამო. ომს ჯერჯერობით დასასრული არ უჩანს. თუ ისრაელისა და არაბული სამყაროს დაპირისპირებასაც გავითვალისწინებთ, კაცობრიობა სამხედრო და ეკონომიკური კატასტროფის წინაშე დგას.

* * *

**გასულ კვირას შესრულდა 103 წელი საქართველოს გასაბჭოებიდან. უფროსი თაობის ხალხს კარგად ახსოვს, რა ზარზეიმით აღინიშნებოდა ეს თარიღი 1990 წლამდე. სახელმძღვანელოები, ფილმები, თეატრალური წარმოდგენები, მხატვრული ნაწარმოებები გმირებად გვისახავდნენ სერგო ორჯონიკიძეს და მის დამპყრობელ წითელარმიელებს; მოღალატეებად – საქართველოს დროებით მთავრობას და ქვეყნის დამცველ შეიარაღებულ ძალებს, მათ შორის ქართველ იუნკერთა თავდადებულ რაზმს.**

ახალი თაობისთვის ყველაფერი პირიქითაა. იმედია, ოდესმე სინამდვილესთან მიახლოებული ისტორია დაიწერება, ყველას და ყველაფერს თავისი სახელები დაერქმევა.

* * *

**გაგიკვირდებათ და, „ნიუ იორკ პოსტის“ ინფორმაციით, გასულ კვირაში აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციამ გაავრცელა დოკუმენტი, რომლითაც სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი თანამშრომლებს ურჩევს, შეძლებისდაგვარად მოერიდონ ისეთ ტერმინებს, როგორიცაა „მამა“, „დედა“, „ქალიშვილი“, „ვაჟი“, „ცოლი“, „ქმარი“, „ქალბატონებო და ბატონებო“ და მათ ნაცვლად გამოიყენონ ტერმინები „მშობელი“, „პარტნიორი“, „შვილი“.**

ენტონი ბლინკენის გაკრიტიკებას როგორ გავბედავ (ვაითუ, ხაზეს ეწყინოს!). მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ქართველებს, უფრო სწორად, ჯერ კიდევ ქართულად მოლაპარაკე ხალხს მაგრად გაგვიმართლა – რუსებმა, არაბებმა, სპარსელებმა, ინგლისელებმა და სხვებმა იკითხონ, მთელი გრამატიკის შეცვლა რომ მოუწევთ, თორემ ჩვენ რა გვიჭირს –- ქართული ზმნა სქესს ისედაც არ განასხვავებს. რაც მთავარია, იმერულ დიალექტში გვაქვს გენიალური სიტყვა „იმანო“, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ ქალის, კაცის, ბიჭის, გოგონას, რძლის, სიძის, დედამთილის, მამამთილის, სიმამრის და, რაც მთავარია, სიდედრის აღსანიშნავად. წარმოიდგინეთ სიდედრის გაბადრული სახე, სიძე რომ მოეხვევა და სიყვარულით ჩასჩურჩულებს – ასე რატომ მომანატრე თავი, ჩემო იმანო!

**გასულ კვირას კიდევ ბევრი საინტერესო რამ მოხდა, ავიც და კარგიც მაგრამ ნება მიბოძეთ, ჩვენი ცრუპენტელა, სახელს ვერ გეტყვით და, „ვივამედში“ წამოკოტრიალებული, კიდევ ერთხელ გამოჯანმრთელებული ნაპრეზიდენტალის განცხადებით დავამთავრო – მე პუტინის პირადი ტყვე, ქართველი ნავალნი ვარო!**

**იქნებ ჩვენმა სამართალდამცავებმა გვიპასუხონ, რატომ არ გადაჰყავთ ეს ხარივით ჯანმრთელი და პრემიერობისთვის გამზადებული მსჯავრდებული მშობლიურ ციხეში – ცოდოა ბიჭი, ცოდო, ნავალნობა ენატრება!**



**თეიმურაზ ქორიძე,**

20.02.2024

# ბინძური ხელები შორს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისგან!



**(პირველი გვერდიდან)** **ცოტა უცნაურად დავიწყე არა?** პირიქით, სამშობლო ჩემი ხალხია, რომლის საუკეთესო წარმომადგენლები ამა თუ იმ დარგის, საქმის წინამძღოლებად გვევლინებიან... უტეხი კლდეებივით არიან და იცავენ ქართულ კულტურას, ისტორიას, ქართული მეცნიერების ღრმად განტოტვილ ფესვებს და „ნორჩ ყლორტებს“. იცავენ წინაპართა ძვალშესალაგებს, პატრონობენ ყველოს დედაქალაქის გამზირებზე როცა დავდივარ, ან რეგიონებში ვხედავ მონუმენტურ ძეგლებს, ბიუსტებს, მე მათ „ველაპარაკები“... ვერ ავუვლი გვერდს დავით აღმაშენებელს, დავით გურამიშვილს, გიორგი სააკაძეს, ილია ჭავჭავაძეს, ექვთიმე თაყაიშვილს, სხვა მრავალ დიდებულ მამულიშვილს.

როგორ უნდა გაგიძლოს გულმა და ისე ჩაუარო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკახელმწიფო უნივერსიტეტში დატრიალებულმა შემაძრწუნებელმა ამბებმა, როცა 2003 წლის ნოემბრის „ვარდების რევოლუციით“ მოსულმა ჩინოვნიკებმა უკეთური ხელი აღმართეს დედაუნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებზე. როცა ურცხვად გამოაცხადეს, საქართველოს მეცნიერება არ სჭირდება, თვით მეცნიერებათა აკადემია უნდა გავაუქმოთ, რა საჭიროა ამდენი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები, ლაბორატორიები, ჩვენ განვითარებადი ქვეყნის სტატუსი გვჭირდებაო (?!).

მახსოვს, როგორ გავაკრიტიკე ევროპის ერთ-ერთი ქვეყნის ქალბატონი ელჩი, გაჭირვებული, „მესამე ქვეყნის“, საქართველოს ღია ბაზრებიდან რომ გაზიდა უძვირფასესი ნაკეთობები, ჭურჭელი, ერთი სიტყვით, ანტიკვარული ნივთები და ხელოვნების ნიმუშები 90-იან წლებში. ქალბატონმა ელჩმა გაბედა და თქვა: „რაში გჭირდებათ ამდენი ექიმი, ფიზიკოსი, მათემატიკოსი, ფსიქოლოგი, ინჟინერი. ჩვენ გვჭირდება მომსახურე პერსონალი, თქვენ კი – განვითარებადი ქვეყნის სტატუსი“(?!).

მას ზოგიერთი სხვა უცხოელიც აჰყვა და გამოჩნდა აწ განსვენებული **მეცნიერი მერაბ ჯიბლაძე,** რომელმაც საოცარი წიგნები გამოსცა ახალგაზრდებისთვის და ისეთი დღე აყარა უცხოელ „მოძღვრებს“, ქართველები როგორც იტყვიან: „მათ შეძლეულ პურს ძაღლიც არ გამოართმევდა“.

სწორედ მას დაუთმო თავისი საკუთრება, დარბაზი ერთმა ჩვეულებრივმა კაცმა, **იური ვაზაგაშვილმა,** რათა მოზარდებისთვის ეთქვა სიმართლე, ეზიარებინა მეცნიერული საფუძვლებისთვის. ბატონი მერაბი მეუბნებოდა, „მოვლენ კი? მერე რა, რომ ეს ყველაფერი უფასოა. აღარც „პოდები. სასოწარკვეთამდე ცოტაღა იყო დარჩენილი. ქველმოქმედმა **ბიძინა ივანიშვილმა** გააგრძელა (გააორმაგა) მათი დახმარების პროგრამა. ჯერი როცა მიდგა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაზე, რომ იტყვიან, „სხეულით გადაეფარა“ – მე გავიღებ ფინანსებს, არ გააუქმოთ მეცნიერებათა აკადემიაო. მე რა შემეძლო? 2004 წლის დეკემბერში გამოვეცი გაზეთის, „არჩევანი“ პირველი ნომერი (საავტორო გაზეთი იძულებით შეჩერდა). გაზეთის მთავარი სლოგანი იყო: „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის, ეს განწირული სულისკვეთება“...

იყო მასალები, რომელთა გამო ბევრი მტერი „შევიძინე“. კერძოდ, „ვინ მტრობს საქართველოს“? „შეთქმულება თაობის წინააღმდეგ“, „ვის აშინებს ჟიული შარტავას მკვლელობის საქმის გამოძიება“? „რა არ იცის და რა ვერ ისწავლა ჯორჯმა ილიას „ჯორჯიაში“? „რით აშენდა ამერიკა და საქართველო? „როგორია ხალხის მზერა? მიართვა თუ არა, ლანგარზე დადებული ხელისუფლება ედუარდ შევარდნაძემ „სამეულს“, არის თუ არა ახალი და დემოკრატიული მთავრობა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ?“ და ა.შ. მაშინ შევეცადე ყურადღება მიმეპყრო მეცნიერების, მეცნიერებათა აკადემიის დაცვისკენ...

ამავე ნომერში გამოქვეყნდა ცნობილი მეცნიერის რევაზ ბარამიძის წერილი – „ვიხსნათ ქვეყანა ლენინის მიმდევარი სოროსისა და დაქირავებული აგენტებისგან!“ გაზეთი წერდა: „მეცნიერები ხალხს გამოფხიზლებისკენ მოუწოდებენ! ხელისუფლება მეცნიერებს შოკით ემუქრება!“

მაშინ ვწერდით;

დაპატიმრებულია აკადემიკოსი ნაპოლეონ

# მეცნიერები ისევ დგანან ქვეყნის სამსახურში,

ლაფერს, რაც სამშობლოს გააჩნია.

სწორედ ამიტომ მინდა შევჩერდე იმ „ჭირისუფლებზე“ და იმ კერაზე, რომელიც ძალას გვმატებს, გვაერთიანებს, რათა ერთად ვუჭირისუფლოთ ამ უდიდეს ადამიანებს, რომელთაც პატარა საქართველო მსოფლიოში გააბრწყინეს საუცხოო აღმოჩენებით და გაბედულად თქვეს: „საქართველო არასოდეს იქნება „პატარა“, რადგან მას ჰყავს დიდი პოეტები, უდიდესი მეცნიერები, მესაკუთრეა უნიკალური, საერთაშორისო დონის სკოლების, რომლის გამოზრდილი აკადემიკოსები, პროფესორები დღეს ცვლიან სამყაროს!“

რთულ, უცნაურ და არეულ დროში ვცხოვრობთ. მომრავლდნენ თანამედროვე „თუთიყუშები, „კაჭკაჭები“, რომლებიც თავის გამოჩენას სხვათა განქიქების ხარჯზე ცდილობენ, მაგრამ



რა ვუყოთ, რომ არაფერი გამოსდით ლანძღვაგინების გარდა.

ტაძრებში შედიან, პირჯვარს იწერენ, უფალს თავს (და არა ქვეყანას) ავედრებენ, მაგრამ ჯვარს, რომელიც დალოცა მეუფემ, შეურაცხყოფენ, რკინის „ნაგლეჯს“ უწოდებენ, შეურაცხყოფენ, პარლამენტის წინ რატომ დგასო (ეს რომან გოცირიძის „მიგნებაა“).

რა ვუყოთ თუ ასეთი ცოცხლები მკვდრებს ჰგვანან?

გაცილებით თვალსაჩინო სხვა რეალობაა, გარდაცვლილები სიცოცხლეს განაგრძობენ და მათი ასეთი სიცოცხლის გაგრძელებაც დიდ წილად დამოკიდებულია იმ ჭირისუფლებზე, მათზე რომ ფიქრობენ და გლოვით კი არა, მათი საქმეების პატრონობით, ისევ სამშობლოს აძლიერებენ. ეს ღირსებით სავსე ადამიანების ხვედრია, რომლებიც სამშობლოს არსს სიღრმისეულად მოიაზრებენ.

სხვისი რა მოგახსენოთ, მაგრამ საქართვედემიის შენობას, ერთხელ მაინც არ შეხვიდე და მდაბლად თავი არ დახარო პეტრე იბერის, იოანე პეტრიწის, არსენ იყალთოელის, შოთა რუსთაველის, ივანე ჯავახიშვილის ბიუსტების წინაშე.

**როგორ არ უნდა გაიხსენო, მსოფლიო კორიფეებთან: სოკრატესთან, არისტოტელესთან, პლატონთან, არქიმედეს სიბრძნესთან და აღმოჩენებთან, დიდი მოაზროვნეების იდეებთან წილნაყარი ქართველი მეცნიერები: ნიკო მუსხელიშვილი, გრიგოლ წერეთელი, თამაზ გაყრელიძე, ევგენი ხარაძე, ალბერტ თავხელიძე, ილია ვეკუა და მრავალი სხვა. როგორ არ უნდა აღიარო მეცნიერებათა აკადემიის ძველი და ახალი თაობის წარმომადგენლები, რომლებსაც იცნობენ არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის საზღვრებს გარეთ აღიარებული შრომებით და გამორჩეული სამეცნიერო-საზოგადოებრივი მოღვაწეობით.**

განსაკუთრებულს არაფერს ვამბობ. ყოველთვის მქონდა გამორჩეული მოწიწება მეცნიერთა მიმართ. საკრალურია მათი თავშეყრის ადგილიც.

ჩემი თაობის ნიჭიერი ადამიანებიც აღმოჩნდნენ სამეცნიერო ასპარეზზე. ეს იყო დიდი ბედნიერება. ახლაც ვამაყობ, რომ ბევრი მათგანი აკადემიკოსი, პროფესორია და სწორედ იმ შენობაშია, რომელიც დღემდე განათლების, სიკეთის, სამშობლოს საგანძურის ერთ-ერთ მარგალიტად, მეცნიერების ბურჯად რჩება.

დრომ, რაღაც ბედისწერით, თითქოს უკუღმა დაიწყო ტრიალი. წინა პლანზე წამოვიდნენ არა მეცნიერები, არამედ ისინი, ვისაც წიგნიც ეჯავრება, მწიგნობარიც და მეცნიერიც. ამბობენ, „მზესაც კი აქვს ლაქებიო“. უშეცდომო ადამიანი არ არსებობს. მით უფრო ათეიზმის პროპაგანდის საუკუნეში. რა არ გამოიარა საქართველომ და მისმა ხალხმა; ცარიზმი, თავისუფლების მოპოვება და დაკარგვა, ისევ ბრძოლა და დამოუკიდებლობის ხელახლა მოპოვება, სამოქალაქო ომი და შემდგომ საქართველოს ულამაზესი მხარეების ოკუპაცია...

**ვფიქრობდი, რომ ყველაფერს ექნებოდა ჯანსაღი, სამართლიანი შეფასებები, საკუთარ თავში ნაკლის ძიებაც, მაგრამ არა, გამორჩევით ქართულ მეცნიერებას შეუტიეს, მეცნიერებს, რომლებიც ხალხს გამოფხიზლებისკენ მოუწოდებდნენ....**

მეგონა, რომ ეს დროებითი მოვლენა იყო, მაგრამ როცა ახალი თაობა „წამოიჩიტა“, გავიგონე – „წითელი ინტელიგენცია“, „ხელისუფლებასთან შეზრდილები“, „პირადი კეთილმოფიქრალები“, შემდეგ გაჩნდა კიდევ უფრო შეურაცხმყოფელი სიტყვები: „ჩარეცხილები“, „ჩასარეცხები“, „მოსაშორებლები“...

უარესი კი, თურმე, წინ იყო. თბილისის საეზიის ხუთი წუთია“ ტელევიზიებში, აღარც უნივერსიტეტები და სწავლა უნდათ.... მით უფრო ფიზიკა?“

მოვიდნენ. ჯერ 10 ბავშვი იყო, მერე 25, მერე კი – 100-150. და იურიმ სხვა ფართებიც გამოძებნა. მერაბ ჯიბლაძემ დრო, საათები „დაყო“ და ყველა ერთ გუნდად ვიქეცით.

**და მერე რა მოხდა? იური ვაზაგაშვილი საქართველოს მტრებმა შვილების – პატარა გოგონას და „ვარდოსნების“ მიერ ქუჩაში მიზანმიმართულად ჩაცხრილული ბიჭის საფლავზე ააფეთქეს!**

**შეირჩინეს და შეარჩინეს. 65 ადამიანი იყო მთელი ამ და სხვა მკვლელობების ორგანიზების ერთიან ჯგუფში (ეს იური ვაზაგაშვილმა განაცხადა ჩემს გადაცემაში ღია ეთერში). მაგრამ 2-3 „დასაჯეს“, სხვები ისევ თანამდებობებზე დარჩნენ, ნაწილი დააწინაურეს კიდეც (?!).**

გასაკვირი სულაც არ იყო, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მათ, როგორც „ხალხის რჩეულებს“, **უცხოეთიდან მწვანე შუქი ჰქონდათ ანთებული იმისათვის, რომ ეგინებინათ სიმართლის მთქმელი, საქმის მკეთებელი ქართული მეცნიერების წარმომადგენლები, „მკვდრად შობილად“ გამოეცხადებინათ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თვალი დაედგათ აკადემიის შენობისთვის და გადაექციათ იგი „კაზინოდ“, ისევე როგორც ეს მოახერხეს შენობაში, სადაც ტარდებოდა დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტის სხდომები, სადაც პირველ სართულზე შეფარებული იყო აფხაზეთის ლეგიტიმური, დევნილი მთავრობა 1992-1993 წლის ომის შემდეგ.**

იმხანად „საავტორო გაზეთს“ და მის დამატებას, სახელწოდებით „არჩევანი“ გამოვცემდი. მებრძოდნენ და ვიბრძოდი!

ერთი წელი იყო გასული „ვარდების რევოლუციონერების“ ხელისუფლებაში ყოფნიდან. საშიში ვითარება შეიქმნა ქართული ხელოვნების, სპორტის, მეცნიერების წარმომადგენელთა მიმართ.

ეკონომიკურად და ფინანსურად ყველაზე სუსტი იყო ქართული ინტელიგენცია, სპორტის რაინქარქაშაძე, დაპატიმრებული იყო აკადემიკოსი გურამ შარაძე, დაპატიმრებას უპირებენ გიგლა ბარამიძეს, მასზე ძებნაა გამოცხადებული. თვალში არ მოსდით პროფესორი რეზო ბარამიძე და სხვა. რევაზ ბარამიძე გარდაიცვალა (შვილი მის დაკრძალვას ვერ დაესწრო), შვილის ნაცნობ-მეგობრებმა გაბედული მეცნიერი პატივით დაკრძალეს! მერე მოკლეს გურამ შარაძე (2007. 20. 05). ვიდრე ხელისუფლება არ შეიცვალა გიგლა ბარამიძე საქართველოს ვერ დაუბრუნდა. ის განათლებული, ძლიერი პიროვნებაა, პოლიტოლოგი და ანალიტიკოსია. ძნელად მოიძებნება მისი თანასწორი, მაგრამ ამდენ ტკივილს გაძლება ხომ სჭირდება?

* * *

**რატომ გავიხსენე ეს ყველაფერი? რას ვიფიქრებდი, რომ 2023 წლის ბოლოსთვის იმაზე მეტად გააქტიურდებოდნენ მეცნიერების, მეცნიერებათა აკადემიის მტრები, ვიდრე თუნდაც 20 წლის წინათ წარმოვიდგინა.**

**შემთხვევით არ გამიხსენებია გაზეთ „არჩევანის“ 2004 წლის ის ნომერი, თურმე ნუ იტყვით და ნაციონალური მოძრაობის „ყოფილ“ წევრებს, ამჟამად „ევრო ოპტიმისტ“ დეპუტატ რომან გოცირიძეს „მოუფიქრებია“ (არა მგონია მარტოს) მძლავრი შეტევის დაწყება ქართული მეცნიერების, საქართველოს მეცნიერების და მათი „თავის“, მეცნიერებათა აკადემიის წინააღმდეგ.**

**2023 წლის 28 ნოემბერს,** ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ 20 წლისთავზე (?!) რომან გოცირიძემ მიმართა საქართველოს პარლამენტის საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსს, ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს. საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარუდგინა საქართველოს კანონპროექტები: „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე და მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე. **„ევროოპტიმისტ“ რომანს და მის „წამ-**



# უსაქმურები კი „ტრაქტორებს“ მახათით კერავენ


გურამ შარაძე

**ქეზებლებს“ ეგონათ, რომ ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე „ცხვირს წაიმტვრევდა“ საქართველოს ხალხი და მის მიერ არჩეული ხელისუფლება, რადგან 8 დეკემბერს პირველი სიგნალის ხმა უნდა გაგვეგო ევროპიდან, 14 თუ 15 დეკემბერს რა ეთქვათ, საქართველოს მიენიჭოს თუ არ მიენიჭოს კანდიდატის სტატუსი?“**

**ოპოზიციას არ სურდა, საქართველოს მიეღო კანდიდატის სტატუსი და თუ ეს მოხდებოდა, პირველი შტურმი საქართველოს მეცნიერთა წინააღმდეგ უნდა დაწყებულიყო. უპირველესად „თვალი დაადგეს“ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შენობას. რა სამარცხვინოა, არა?**

**გეგმა დაახლოებით ასეთი იყო – კანდიდატის სტატუსს თუ ვერ მიიღებდა საქართველო, შეიკრებოდნენ აკადემიის შენობაში და იქ განალაგებდნენ „რევოლუციურ კომიტეტს“ – ახლოს საქართველოს პარლამენტთან, მთავრობის შენობასთან (?!).**

**გგონიათ რამეს ვაზვიადებ? მთელი რუსთაველი უნდა გადაეკეტათ.**

**გავიხსენოთ როგორ გააკრიტიკა ერთმა დეპუტატმა ევროპიდან თბილისის მერია და ხელისუფლება, ვინ მოგცათ უფლება, საქართველოს გამზირის განახლების და იქ მასშტაბური სამუშაოების ჩატარების ნებართვა არჩევნების წინო?**

მსგავსი რამ მოსკოვსაც არ უკადრებია საბჭოთა კავშირის დროს. რა ფსკერია, ან საერთოდ, რა იყო ეს? 2023 წლის 8 დეკემბრამდე დღეები და საათები ითვლებოდა.

2023 წლის 4 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის ბიურომ (სხდომის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე) მიიღო გადაწყვეტილება პარლამენტის კომიტეტებსა და საპარლამენტო ფრაქციებში დაწყებულიყო ნორმატიული აქტის პროექტის განხილვა. რომან გოცირიძემ, ეტყობა, ეს არ იკმარა და მთავრობასაც შეუტია. იქაც გააგზავნა მოთხოვნა, „დროა, ეგ თქვენი მრჩეველი „მეცნიერები“ მოიცილოთო.

„რწყილისა და ჭიანჭველის“ არ იყოს, რა ექნა საქართველოს მთავრობას? და მან აფრინა წერილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, გიგზავნით რომან გოცირიძის პროექტს და თქვენი პოზიცია წარმოგვიდგინეთო (05. 12. 2023).

**3 დღე რჩებოდა 8 დეკემბრამდე, ანუ ევროსაბჭოს და ევროკავშირის პოზიციის გაგებამდე რა ელოდა საქართველოს ევროპის გზაზე.**

მაინც რა „სამგლე გოჭივით“ ატყდა „ევრო ოპტიმისტი“ რომან გოცირიძე და მისი „საძმო“?

რა ეგონა, საქართველოს მთავრობაც გაუბრაზდებოდა თავის დიდ მრჩეველს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას?

ვერ გაუბრაზდებოდა, რადგან ოქტომბრის ბოლოს საქართველოს მთავრობამ, მისმა საპარლამენტო მდივანმა დეტალურად იცოდა თუნდაც 2012 წლიდან 2023 წლის ოქტომბრამდე რა მუშაობა ჩაატარა აკადემიამ, რა პრიორიტეტები დასახა და რა რეკომენდაციები მიაწოდა მთავრობას.

ესეც არ იყოს, აკადემიის ყოველწლიური ანგარიშები გამოცემული ელექტრონული ვერსიები განთავსებულია აკადემიის ვებგვერდზე.

**არ ვიცი, რა ბედი ეწია აკადემიის სურვილს, ცვლილებები შეტანილიყო კანონებში „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ და საქართველოს მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ (2023 წლის აგვისტო), მაგრამ ფაქტია, ნაცების ერთ-ერთმა ყოფილმა „ლიდერმა“ ე.წ. „ვარდების რევოლუციის 20 წლისთავზე „დაარტყა“ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას.**

**მაინც რა უნდოდა ამ „ევროოპტიმისტს“ სწორედაც რომ ევროინტეგრაციის ოპტიმიზმის მოლოდინში მყოფ საქართველოს ხალხთან, მთავრობასთან და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან, რომელიც უძველესი ქართული აკადემიების – გელათისა და იყალთოს სამართალმემკვიდრეა. სახელმწიფოს მაღალი დონის ინტელექტუალური განვითარების მთავარი „მესაჭეა“, საქართველოს მთავრობის მეცნიერული მრჩეველი, საერთაშორისო მნიშვნელობის სამეცნიერო მიღწევებისა და მაღალი სამეცნიერო და სამოქალაქო ავტორიტეტის მქონე გაერთიანებაა.**

რამდენადაც ვიცი, ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ მეოთხე წლისთავზე, როცა 2007 წლის 7 ნოემბერს ხალხის პროტესტი სისხლში ჩაახშეს და გამოჩენილი სისასტიკით მსოფლიოო გააოგნეს, პარლამენტმა სწორედ ამ დროს მოიცალა და მიიღო კანონი „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №25 (32), 1999 წ. მუხ.129). კანონს ხელი მოაწერა საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ (თბილისი, 2007 წლის 14 დეკემბერი, №5600 – რ.ს.). კანონი უნდა ამოქმედებულიყო 2008 წლის 1 იანვრიდან.

4 დღეში, (5 იანვარი) საქართველოს პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნები იყო.

აი, ამ ისედაც შეკვეცილ კანონს „ჩააფრინდა“ რომან გოცირიძე და მოითხოვა ცვლილებები (საკანონმდებლო მაცნე სსმ 47, 26/12/2007, სარეგისტრაციო კოდი 440. 020. 010.05.001.003.076). მან მოითხოვა მე-14 მუხლის პირველი პუნქტის ჩამოყალიბება ისეთი რედაქციით, რომ ჩამოიშალოს აკადემიის საერთო სტრუქტურა, მართვის სისტემები. რომ ხალხს უთხრას – **„ამ ხანდაზმულობის შენახვა ძვირი უჯდება სახელმწიფოს და მათ წინააღმდეგ იბრძოლეთო.**

ეს მზაკვრობაა, რა შუაშია ცალკე გამოყოფა.

გარდამავალ დებულებებში (თავი VI) მე-16 მუხლზე ითხოვდა მე-10 პუნქტის დამატებას და ასე ჩამოყალიბებას:

„10. სახელმწიფო აფინანსებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის იმ ნამდვილ წევრებს, წევრებს, წევრ-კორესპონდენტებსა და სტიპენდიანტებს, რომელთაც ამ კანონის მიღებამდე ჰქონდათ შესაბამისი სტატუსი“.

თუ არ ვცდები, მე-16 მუხლი არის VI თავში (გარდამავალი დებულებები), მაგრამ მაინც რას ნიშნავს ეს ე.წ. ჩანაწერი? მეცნიერებაში არ უნდა მოვიდეს ახალი ნაკადი? ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ ძველი თაობის მეცნიერების შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არსებობას აზრი არ ექნება?

რ. გოცირიძემ 2026 წლის 31 დეკემბერის ჩათვლით საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაც ჩააყენა რთულ მდგომარეობაში. მოითხოვა: მე-16’ მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს 1’ პუნქტი.

„საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო დაფინანსებით (გარდა ამ მუხლი მე-5 პუნქტისა) სარგებლობს 2026 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

ე.ი. რომან გოცირიძემ დროც განსაზღვრა – 2026 წლის 31 დეკემბერი (ახალი წელი ახლა მიულოცა) რ. გოცირიძე ამასაც არ დასჯერდა. მთლიანად მოუნდა მე-17 მუხლის შეცვლა(?!).

რა ხდება მე-17 მუხლთან დაკავშირებით, რა წერია კანონში და რის შეცვლას ითხოვს „ევროოპტიმისტი“?

**მუხლი 17.**

„კანონის მიღებასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებები საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ უზრუნველყოს აკადემიისთვის ქონების დადგენილი წესით გადაცემა ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში“.

**მკითხველს განვუმარტავ, რომ იმ დროსაც წართმეული იყო შენობა და რომ არა ბიძინა ივანიშვილის თავდადება, შენობას არ დაუბრუნებდნენ ეროვნულ აკადემიას.**

მე ბიძინა ივანიშვილის ადვოკატი არ ვარ, პირადად არაფერი მმართებს მისი, მაგრამ ნამდვილად ბრმა არ ვარ, ეს მეცნიერებისადმი თანადგომა ვერ (ან არ) დავინახო.

**ახლა ვნახოთ, ამ „ევროოპტიმისტს“ რა უნდა? მას სურვილი გასჩენია, საქართველო ევროკავშირში შევიდეს „ცალ ფეხზე მდგომი“. მეცნიერების და მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გარეშე. ასპარეზიდან უნდა გაქრენ დიდი მეცნიერები და ვერ შეძლონ ახალი თაობის აღზრდა!**

უნდა ხელი შეუწყოს საქართველოდან „ტვინების გადინებას“!..

**ერიჰააა! „ევროოპტიმისტი“ გოცირიძე იმეორებს ბოდვებს და ითხოვს:**

**მე-17 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

მუხლი 17. კანონის მიღებასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებები:

– სსიპ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ უზრუნველყოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შენობის დაბრუნება 2026 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ უზრუნველყოს აკადემიის ფუნქციონირებისთვის საჭირო ალტერნატიული შენობის გამოყოფა 2026 წლის 31 დეკემბერის ჩათვლით.

3. საქართველოს მთავრობამ 2026 წლის 31 დეკემბერის ჩათვლით მიიღოს გადაწყვეტილება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სისტემაში არსებული „ქართული ენციკლოპედიის“ შემდგომი ფუნქციონირების ფორმის შესახებ.

**მუხლი 2.**

ეს კანონი გარდა პირველი მუხლის პირველი პუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტი ამოქმედდეს 2027 წლის 1 იანვრიდან.

* * *

**რაო, რომან, გაინტერესებს როგორ შეასრულებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო შენს მეოთხე ბრძანებას, რაღაც სხვა შენობა გამოუძებნეთ აკადემიასო.**

რა „საკრალური“ თარიღებია – 2026 წლის 31 დეკემბერი! ხომ ვერ მეტყვი, შენი მეგობარი დეპუტატებიდან ვინ დათმობს გრანდიოზულ სასახლეს მეცნიერებისთვის? „საიდუმლოს“ ხომ ვერ გაგვანდობ? მშვენიერი ქართული ნათქვამია: „უსაქმური კაცი ტრა ... (ტრაქტორში) მახათს იყრიდაო“.

**რამ გადაგრია? „ქართული ენციკლოპედიის“ ფუნქციაც „გენანება“ საქართველოს ეროვნული აკადემიის სიტემაში დასარჩენად?**

**რა „გოჭის ჭყვიტინია“, რას გეგმავთ? გგონიათ, მართლა მოხვალთ ხელისუფლებაში და 2026 წლის 31 დეკემბრამდეც ვერ მოიცდით, ისე დაარბევთ ეროვნულ აკადემიას, ისევ ჩაკეტავთ, დააპატიმრებთ აკადემიკოსებს, პროფესორებს, ახალგაზრდა მეცნიერებს, როგორც ეს გააკეთეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში? ისევ დაუნდობლად მოკლავთ სახელოვან მეცნიერებს, როგორც მოკალით გურამ შარაძე, სწორედ რომ კანონის მიღებამდე 6 თვით ადრე?**

**რომან, გულზე ხელი დაიდე და ამიხსენი, ახლა რა ფუნქცია გაქვს შენ, როცა წერ, რომ მეცნიერებათა აკადემია იქცა უფუნქციო დაწესებულებად, რომ იზრდება დაფინანსება, რომ აკადემიკოსები ყოველთვიურად იღებენ 1600 ლარს ანაზღაურების სახით?.**

გაბრაზებულხარ, მგონი ახლა 1800 ლარიაო. შეშფოთებას ვერ ფარავ, რა არის ეროვნული აკადემიის დაფინანსება 2013 წლიდან 2024 წლის ბიუჯეტის ჩათვლით 48, 7 მილიონი შეადგინაო, ე. ი. წელიწადში სადღაც 4 მილიონი ლარიც არ გამოდის...

ღამე არ გძინებია, საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიისთვის 2024 წლის დაფინანსება 1.365 ათასი ლარით არის განსაზღვრულიო.

**გაგედე რომან, უთხარი ხალხს, რამდენი მილიონი ლარი მიიღე ხელფასის სახით (სხვა პრივილეგიებს არ ვგულისხმობ), მაშინ, როცა ეროვნული ბანკის პრეზიდენტი იყავი?**

**„შემთხვევით“ ეს ას მილიონამდე ხომ არაა? უთხარი ხალხს, რაც დეპუტატი ხარ, იმაზე მეტი ხომ არაა? უთხარი ხალხს, იმაზე მეტი ხომ არა გაქვს აღებული მარტო ხელფასის სახით (სხვა პრივილეგიებს არ ვგულისხმობ), რაც დაგენანა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისთვის?**

ახლა ტაშის კვრით რომ მიიღეთ კანონი დეპუტატების ხელფასების გაზრდაზე თვეში 8-10 ათას ლარამდე, პლუს სხვა „ბონუსებიც“, არ შეგრცხვა მერე ეს პროექტი რომ „გამოაცხე“ და აკადემიკოსებს 1600 ლარი „დაუთვალე?“

რა შეგიქმნია შენ, ან შენს ზურგს უკან ჩასაფრებულ ე.წ. „ხალხის რჩეულებს“?

სად წავიდა ათობით მილიონობით დოლარი, 1კუპონი 1 დოლარს რომ უდრიდა და ხალხს დაუმალეთ თქვენი გამდიდრების ამბავი. მერე ხომ 10 მილიონი კუპონი 100 ლარიც აღარ იყო?

ნახეთ, რას წერთ განმარტებით ბარათში. ჯერ შენობა-ნაგებობა დაუბრუნოს სამინისტროს ეროვნულმა აკადემიამ და მერე გადავა „ალტერნატიულში“, რომელსაც სამინისტრო მისცემსო?

**შე დედა მოსაფერებელო, თუ გიწერია, რომ სამინისტრომ „ადეკვატური მოცულობის“ ფართობი უნდა მოძებნოს, რას ერჩი იმ ნაგებობებს, რაც უკვე აქვთ? რისთვის გჭირდებათ ამის „დათრევა“, – კაზინოსთვის?**

ერთიც, უნდა „დამესაქმო“, რომან, და ჰკითხო შენს „ყოფილ“ „ნაციონალ დაქალს“, მართლა სჯეროდა, რომ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს არ მოგვცემდნენ და ყველას დაასწრო?“

2023 წლის 8 დეკემბერს საქართველო ელოდებოდა დასკვნას, რომელიც საფუძვლად დაედებოდა 2023 წლის 14-15 დეკემბერის გადაწყვეტილებას – კანდიდატის სტატუსი მიცემოდა თუ არა საქართველოს... მან კი, 2023 წლის 7 დეკემბერს პარლამენტიდან, თურმე, წერილი აფრინა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში და კატეგორიული ტონით მოითხოვა (რამდენადაც ვიცი, ფრაქციაშიც არ განუხილავს).

რომ არ შემომედავოს, დავაზუსტებ: გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

1. 2020 წლის პირველი იანვრიდან ამ წერილზე პასუხების მომზადების პერიოდამდე (ცალ-ცალკე თვეების მიხედვით), შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამო თქვენი უწყების ბალანსზე არსებულ ავტომობილებზე გამოწერილი ვიდეოჯარიმების და დაკისრებული საჯარიმო თანხის საერთო რაოდენობა.

რომან, ახლა მე გთხოვ, გამოაქვეყნეთ იგივე ინფორმაცია, ოღონდ ნაციონალების ბალანსზე არსებულ ავტომობილებზე იგივე პერიოდში.

მეორედ კიდევ „დამესაქმე“ და **თინა ბოკუჩავამ საჯაროდ გამოაქვეყნოს:**

**ა) დეპუტატობის პერიოდში მიღებული ხელფასები, ბონუსები, მომსახურე ავტომობილების მძღოლების ხელფასები, ბენზინის ხარჯვა, მობილურის ხარჯები, ჯარიმები და ა.შ.**



**ბ) გამოაქვეყნოს, რა სამკაულები უყიდეს ბიუჯეტის თანხებით და დაუბრუნა თუ არა სახელმწიფოს.**

**გ) ან რაზე აცდენს აკადემიას, ვერ მიმართა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს?**

ერთი სიტყვით, საქმე გაგიჩინე, ვერ დამემდურები, უსაქმურის და მახათის ამბავი უკვე გავიხსენე.

**P. S.**

**ვისაც სურს, გაიგოს, რას აკეთებდა და აკეთებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, მიბრძანდეს ბიბლიოთეკებში, გაეცნოს ყოველწლიურ ანგარიშებს, ნახოს, სპეციალური ვებგვერდი ცნობილ სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები და რეიტინგები.**

პატივისცემით,
**მაყვალა ბერიანიძე,**
საზოგადოებრივი მოძრაობა „სცადეს (საქართველოს ცივილიზაციის აუცილებელი დაცვის ერთობა) თავმჯდომარე





# ხოჯალი – XX საუკუნის ტრაგედია




**„ხოჯალის ტრაგედია გენოციდისა და ეთნიკური წმენდის პოლიტიკის სისხლიანი ფურცელი იყო, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში სომეხი ნაციონალისტები თურქი და აზერბაიჯანელი ხალხის წინააღმდეგ ახორციელებდნენ“.**

**ილჰამ ალიევი,**
**აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი**

**ხოჯალის ტრაგედია ისტორიაში კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი გენოციდის ერთ-ერთი ყველაზე საშინელი აქტია. ის სამუდამოდ დარჩება ხალხთა მეხსიერებაში, როგორც ყველა დროის ყველაზე სისხლიანი ფურცელი. საუბარია უდანაშაულო ადამიანების წამების წარმოუდგენელ სისასტიკეზე, ადამიანურ ტრაგედიაზე, რომელიც ვერც კი შეედრება ხატინის, ლიდისისა და ორადურის გენოციდებს.**

**2023 წლის 15 ოქტომბერს აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ქალაქ ხოჯალიში აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეროვნული დროშა აღმართა. 1992 წლის 25-26 თებერვლის ღამეს ქალაქი ხოჯალი დაიკავეს სომეხმა დამპყრობლებმა და აზერბაიჯანელი ხალხის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი გენოციდი ჩაიდინეს. შედეგად 613 მშვიდობიანი მოქალაქე ამოხოცეს.**

2023 წლის 19-20 სექტემბერს ყარაბაღში აზერბაიჯანის არმიის მიერ განხორციელებული ადგილობრივი ანტიტერორისტული ღონისძიებების შედეგად ხოჯალი სეპარატისტებისგან გაიწმინდა. ამ ქალაქში აზერბაიჯანის დროშის ფრიალი კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ხოჯალის ტრაგედიის შედეგად დაღუპულთა ხსოვნა ყოველთვის იცოცხლებს.

## ხოჯალის გენოციდიდან 32 წელი გავიდა

**1992 წლის 25-26 თებერვლის ღამეს სომხური სამხედრო ნაწილები ყოფილი საბჭოთა არმიის 366-ე მოტომსროლელი პოლკის დახმარებით ქალაქ ხოჯალის თავს დაესხნენ.**

ქალაქის 2500 მცხოვრები აღდამის მიმართულებით გაიქცა. სომხებმა მშვიდობიანი მოსახლეობა დახვრიტეს.



„დედის გოდება“

აგრესორების მიერ აზერბაიჯანელი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი მორიგი ხოცვა-ჟლეტა 613 ადამიანის, მათ შორის 106 ქალის, 63 ბავშვისა და 70 მოხუცის სიცოცხლის მოსპობით დასრულდა. 1275 მშვიდობიანი მოქალაქე ტყვედ ჩავარდა, მათგან 150-ის ბედი ჯერაც უცნობია. 475 ადამიანი დაინვალიდდა. რვა ოჯახი მთლიანად განადგურდა. 25-მა ბავშვმა ორივე მშობელი დაკარგა, 130-მა კი ერთ-ერთი მშობელი.

ხოჯალის ხოცვა-ჟლეტა სომხეთის მიერ აზერბაიჯანის წინააღმდეგ დაგეგმილი ეთნიკური წმენდისა და აგრესიის პოლიტიკის ნაწილი იყო. გენოციდზე პასუხისმგებელი სომხეთის მაშინდელი პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობაა.

სომხეთის მიერ აზერბაიჯანელების წინააღმდეგ ჩადენილ ხოჯალის გენოციდსა და სამხედრო აგრესიას თან ახლდა ბაღან აირიმის, გარადაგლის, აღდაბანისა და ბაშლიბელის ხოცვა-ჟლეტა. აზერბაიანული მიწების 20 პროცენტი ოკუპირებული იყო. 20 ათასი მოქალაქე დაიღუპა. 50 ათასზე მეტი ადამიანი დაშავდა და დაინვალიდდა. აზერბაიჯანი დიდი ჰუმანიტარული კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა.

1994 წელს, მაშინდელი პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის ინიციატივით, მილი მეჯლისმა სპეციალური რეზოლუცია მიიღო, „26 თებერვალი დადგინდა ხოჯალის გენოციდის დღედ“.

ბაქოს ხათაის რაიონში ხოჯალის გენოციდის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ძეგლი „ანა ჰარაი“ („დედის გოდება“) დაიდგა.

ჰეიდარ ალიევის ფონდი ხოჯალის გენოციდის შესახებ ფაქტების მსოფლიოსათვის მიწოდების მიზნით სისტემატურად და თანმიმდევრულად მუშაობს. გენოციდთან დაკავშირებული სპეციალური პროექტის ფარგლებში ფონდის მხარდაჭერითა და ორგანიზებით, მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში აქციები, გამოფენები, ღონისძიებათა სერიები იმართება.

ფონდის ვიცე-პრეზიდენტის, ისლამური კონფერენციის ახალგაზრდული ფორუმის კულტურათაშორისი დიალოგის მთავარი კოორდინატორის ლეილა ალიევას ინიციატივით გამოცხადებული კამპანია **„სამართლიანობა ხოჯალის“!** ეფექტურობა წლიდან წლამდე იზრდება.

2020 წლის 27 სექტემბერს დაწყებული და 10 ნოემბრამდე გაგრძელებულ აზერბაიჯანის სამამულო ომში, ქვეყნის არმიამ სომხეთის შეიარაღებული ძალები დაამარცხა და გამარჯვება მოიპოვა. აზერბაიჯანელმა სამხედროებმა ბრძოლის ველზე ხოჯალის გენოციდის გამო შური იძიეს.

სომხეთის პროვოკაციებისა და სამხედრო აგრესიის საპასუხოდ, რომელიც მუდმივად მშვიდობიან მოსახლეობაზე ძალადობას ისახავდა მიზნად, 2020 წლის 27 სექტემბერს აზერბაიჯანელი ხალხი სამამულო ომში თავისი უძველესი მიწების ოკუპაციისგან გასათავისუფლებლად, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებისა და ისტორიული სამართლიანობის აღსადგენად გაერთიანდა.

სამამულო ომის დროს სომხეთის მიერ განჯაზე, ბარდაზე და ქვეყნის სხვა ქალაქებსა და სოფლებზე მასობრივი განადგურების უნარის მქონე ბალისტიკური და რეაქტიული რაკეტებით და კასეტური ბომბებით დამიზნებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მეთოდები დროთა განმავლობაში შეიცვალა, თუმცა სისხლიანი დანაშაულები მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ სომხური მხარის სახელმწიფო პოლიტიკის არსია.

**44-დღიანი ბრძოლის შედეგად მამაცმა აზერბაიჯანულმა არმიამ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა და სამშობლო ოკუპაციისგან გაათავისუფლა. გასული წლების განმავლობაში მრავალი ღონისძიება ჩატარდა, რათა აზერბაიჯანს სიმართლე ეთქვა მსოფლიოსთვის და ხოჯალის გენოციდი საერთაშორისო დონეზე ეღიარებინა. 2008 წლიდან ეს აქტივობა საერთაშორისო კამპანიით „სამართლიანობა ხოჯალისთვის“ გაფართოვდა. ამჟამად, ხოჯალის გენოციდი არაერთმა ქვეყანამ აღიარა და ტრაგედიას საერთაშორისო პოლიტიკური შეფასება მიეცა.**

**ხოჯალის გენოციდი იურიდიულად უნდა შეფასდეს და ვინც ეს საშინელი ტრაგედია ჩაიდინა სასტიკად უნდა დაისაჯოს. აზერბაიჯანელი ხალხი არასოდეს დაივიწყებს ამ ტრაგიკულ დღეს!**

**გურამ მარხულია,**
**ისტორიის დოქტორი, პროფესორი**

# ნიკოლ ფაშინიანი: სომხეთის რესპუბლიკა აღიარებს ყველა მეზობლის ტერიტორიულ მთლიანობას!

**მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ სომხეთის რესპუბლიკა აღიარებს ყველა მეზობლის ტერიტორიულ მთლიანობას,** – ამის შესახებ სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა საფრანგეთის პრეზიდენტთან ემანუელ მაკრონთან შეხვედრის დროს განაცხადა.

სომხეთის მთავრობის ხელმძღვანელის თქმით, სომხეთის რესპუბლიკის თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარება არავის შეშფოთებას არ უნდა იწვევდეს.

**„ჩვენი ერთადერთი ამოცანაა რეგიონში სწორი ბალანსის ჩამოყალიბება და მხოლოდ სომხეთის რესპუბლიკის ლეგიტიმური, სუვერენული, საერთაშორისოდ აღიარებული ტერიტორიის, საზღვრების, ტერიტორიული მთლიანობის, დამოუკიდებლობის დაცვა და ჩვენი ქვეყნის მდგრადობის გაზრდა. ასევე, მინდა, გამოვხატო განსაკუთრებული მადლობა სომხეთის დემოკრატიული რეფორმებისადმი მხარდაჭერისთვის. ამ კონტექსტში, ჩვენ ნამდვილად შევდივართ ევროკავშირთან ურთიერთობის ახალ, დინამიკურ ფაზაში. აქვე, მინდა, ხაზი გავუსვა საფრანგეთის და პირადად თქვენს მხარდაჭერას, რადგან ევროკავშირს ასევე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული რეფორმების განხორციელებისა და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარებისთვის“,** – განაცხადა ნიკოლ ფაშინიანმა.



# ნარკომანია – დღეს გაცილებით უფრო რთული მდგომარეობა გვაქვს, ვიდრე ოდესმე გვქონია!



თეიმურაზ კუპატაძე

## ქვეყანაში გავრცელებულია მკვლელი ნარკოტიკები!

### უპრეცედენტო სპეცოპერაცია ნარკორეალიზატორების წინააღმდეგ!

**უპრეცედენტო სპეცოპერაცია ნარკორეალიზატორების წინააღმდეგ. მძიმე ბრალდებით შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა მთელი ქვეყნის მასშტაბით 270-მდე ადამიანი დააკავეს, აქედან კი 10 ქალია. დაკავებები, ბათუმში, თბილისში, ქუთაისში, სამეგრელოში მოხდა. დაკავებულები არიან როგორც საქართველოს, ასევე, ირანის, თურქეთის, სომხეთის, იორდანიის, რუსეთის, ყაზახეთის, უკრაინის, ბელარუსის, ერაყისა და ნიდერლანდების სამეფოს მოქალაქეები. აქედან 27 დაკავებული ნარკორეალიზატორი და ე.წ. წამლის დამდებები არიან.**

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები ნარკორეალიზატორებზე ე.წ. კურიერების მეშვეობით გავიდნენ. ირკვევა, რომ ადამიანებს, რომლებსაც სასიკვდილო ნივთიერება სახლებში მიაქვთ, პოლიციას ინფორმაცია თავისუფლების სანაცვლოდ მიაწოდეს. გომელაურის უწყებაში კი ამბობენ, რომ 3 თვის განმავლობაში ინტენსიური ძიების, თვალთვალის და სხვადასხვა საგამოძიებო ოპერაციების შედეგად, 270-მდე კაცია დაკავებული. ნაწილი უკვე ციხეში იმყოფება, ნაწილი კი ბრალის წარდგენას ელოდება.

კრიმინალური პოლიციის უფროსმა **თეიმურაზ კუპატაძემ** საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა, რომ ნივთმტკიცების სახით ამოღებულია განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებები: **„ჰეროინი“, „კოკაინი“ „ალფა პვპ“, „სუბოტექსი“ „სუბოქსინი“, „მეტადონი“, „მდმა“, „ლსდ“, „მეფედრონი“, „ამფეტამინი“, „ექსტაზი“, „ჰაშიში“ და ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარე „კანაფი“.**

ბრალდებულებისგან პოლიციამ, ასევე, ნივთმტკიცებად ამოიღო სავარაუდოდ, ნარკოტიკების რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა.

კუპატაძე ამბობს, რომ პოლიციამ ნარკოტიკების უკანონო გასაღების ბრალდებით დაკავებული პირებისგან, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელა ნარკოტიკების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერა.

**„აქვე მინდა მცირე განმარტება გავაკეთო ბოლო პერიოდში მედიასაშუალებებში გასულ სიუჟეტებთან და საზოგადოებაში გაჩენილ კითხვებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება ქვეყანაში არსებულ ნარკოვითარებას. ქვეყანაში ნარკოტიკული საშუალებები, ძირითადად, შემოდის სახმელეთო და საჰაერო გზებით, ასევე, საფოსტო გზავნილების მეშვეობით. ამ გამოწვევების საპასუხოდ, შინაგან საქმეთა სამინისტრო შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტთან ერთად 24-საათიან რეჟიმში ახორციელებს კომპლექსურ ღონისძიებებს. შექმნილია უწყებათაშორისი ჯგუფი, რომელიც შედგება სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებისგან და კოორდინირებულად, ყოველდღიურ რეჟიმში ხორციელდება სარისკო გადაზიდვების მონიტორინგი, რის შედეგადაც ხდება ნარკოტიკული საშუალებების შემოტანის ფაქტების გამოვლენა საქართველოს საზღვრებზე.**

**გარდა ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს უცხოელ კოლეგებთან, რომლებთანაც მუდმივად ხდება ინფორმაციის გაცვლა, რათა მაქსიმალურად შემცირდეს ნარკოტრანზიტის ფაქტები“,** – ამბობს **კუპატაძე.**







დღეს, ტექნოლოგიების პირობებში, ნარკოტიკების რეალიზაციამ ინტერნეტსივრცეში გადაინაცვლა. სამწუხაროდ, ბოლო დროს, საქართველოში სპეციალისტების განმარტებით, შემოსულია სინთეთიკური ნარკოტიკული საშუალების სახეობა, რომელიც მიღებისთანავე იწვევს ფატალურ შედეგს, ძირითადად კი, გულის გაჩერებას, ჰალუცინაციას, თვითმკვლელობისკენ მიდრეკილებას.

სპეციალისტები ამბობენ, რომ ნარკომომხმარებლებთან კომუნიკაცია ფიზიკური კონტაქტის გარეშე, ინტერნეტის საშუალებით ხდება. აღნიშნული გზით გასაღებული ნარკოტიკული საშუალებები წარმოადგენს კუსტარულად დამზადებულ სინთეტიკურ ნარკოტიკულ საშუალებებს, რაც უმძიმეს შედეგებს იწვევს. უმეტეს შემთხვევებში ნარკორეალიზატორები გასაღების სქემაში რთავენ ახალგაზრდებს, ონლაინ სივრცეში და სხვადასხვა მეთოდებით აცხადებენ ვაკანსიებს და სთავაზობენ სოლიდურ გასამრჯელოს.

დაკავებულებს შორის ძირითადად ქართველი ახალგზარდები არიან. თუმცა არიან რეალიზატორებიც, რომლებიც საქართველოს მოქალაქეები არ არიან და მათ ქვეყანაში ნარკოტიკი სხეულის საშუალებით შემოჰქონდათ. ახალგაზრდები ნარკოტიკებს ყიდულობენ ძირითადად ე.წ. დარქნეტში და სხვადასხვა „ტელეგრამ“ არხებზე არსებულ ონლაინ მაღაზიებში.

კუპატაძის თქმით, სწორედ ხსენებული „ტელეგრამ“ არხებისა და სხვა ონლაინ მაღაზიების დაბლოკვა და მათი გაუქმება მოხდა.

**„დაკავებულთა შორის 10-მდე ქალია. მათი სახლებიდან ამოღებულია დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები. ირკვევა, რომ საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც რეალიზატორის ბრალდებით არიან დაკავებულები, ჰყავდათ შუამავლები, რომლებიც უკავშირდებოდნენ ე.წ. დამდებებს, რომლებსაც ადგილზე ნარკოტიკული ნივთიერება მიჰქონდათ. ანუ წარმოიდგინეთ, რამხელა ქსელია, რომლის სათავეში მისვლაც უდიდეს შრომას მოითხოვს“,** – უყვება წყარო for.ge-ს.

ერთ-ერთი დაკავებულის ადვოკატი **დათუნა მოდებაძე** ადასტურებს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი ნაცნობმა დაასახელა, როგორც ე.წ. ნარკოტიკების გამსაღებელი. ადვოკატი ამბობს, რომ მას მარიხუანას გასაღებას ედავებიან.

კიდევ ერთი ადვოკატი **ლაშა ნოზაძე** ამბობს, რომ მის კლიენტს შეძენა-შენახვა-გასაღებას ედავებიან, თუმცა ის ბრალს არ აღიარებს. ადვოკატი ამბობს, რომ მისი დაკავების საფუძველი მოქალაქის განცხადება იყო. ის ე.წ. დამდებია, რომელმაც გარკვეული შეღავათების გამო პოლიციასთან ითანამშრომლა.

ასევე ცნობილია, რომ ე.წ. კურიერები ნარკოტიკების გასასაღებლად ტაძრებს იყენებდნენ. სასულიერო პირები აცხადებენ, რომ მიესალმებიან პოლიციის მუშაობას და ამბობენ, რომ ამ კუთხით ვითარება საკმაოდ რთულია.

**მაინც რა სახის ნარკოტიკული ნივთიერებები ვრცელდება ქვეყანაში, რომელიც ჰალუცინოგენია?**

ნარკოლოგი **ბესო ბერულავა** ყვება იმ მძიმე ნარკოტიკულ ნივთიერებებზე, რომელიც ბოლო დროს საქართველოში ვრცელდება და უმძიმეს შედეგებს იწვევს. ის ჩვენი გამოცემის მეშვეობით ახალგაზრდებს აფრთხილებს და ამბობს, რომ მაქსიმალურად მოერიდონ მას, რადგან ფატალურ შედეგებს იწვევს.

**„სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში, ბოლო დროს, ძალიან გახშირებულია სტიმულატორების ჯგუფის ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება. ეს არის „ამფეტამინი“, კოკაინი, სხვადასხვა ჰალუცინოგენი და ა.შ. ამ ჯგუფის ნარკოტიკების მომხმარებლების მართვა ჩვენთვის გაცილებით რთულია. ასევე შედეგი გაცილებით ხანგრძლივი და მძიმე პროცესია.**

**საშიში ისაა, რომ ამ ჯგუფის ნარკოტიკების მოხმარება ფსიქიკურ აშლილობას იწვევს. ეს არის უმძიმესი სამართავი, ვიდრე ტრადიციული ნარკოტიკების შემთხვევაში ხდება. ესენია ჰეროინი, ოპიუმი, ბუპრენორფინი და ა.შ. საშიში ისაა, რომ მხოლოდ ერთი ჯგუფი ნარკოტიკის მომხარება აღარ ხდება და ჩვენი ახალგაზრდობა იღებს ნარკოტიკის სხვადასხვა ჯგუფისგან შერეულ ნივთიერებებს და ეს არის პოლინარკომანია. გაახალგაზრდავდა ასევე მომხმარებლების ასაკი და ძალიან გაიზარდა მომხმარებელი ქალების რიცხვი. 16, 17, 18 წლის ახალგაზრდებს უკვე სერიოზული დამოკიდებულება აქვთ.**

**ძალიან კარგია, რომ მსგავსი ბრძოლაა გამოცხადებული და ამ დონის სპეცოპერაცია ჩატარდა, რადგან უდიდესი პრობლემაა ხელმისაწვდომობაც.**

**ნარკოლოგის თქმით, ზედოზირების ალბათობა განსაკუთრებით მაშინ იზრდება, როცა ამ ნარკოტიკს სხვა ნარკოტიკთან ერთად მოიხმარენ. ამიტომაც არის, რომ ბოლო დროს, ზედოზირების შემთხვევები გაიზარდა. აქ ნარკოლოგი საუბრობს მხოლოდ რეგისტრირებულ სტატისტიკაზე და დასძენს, რომ ძალიან ბევრია არარეგისტრირებული შემთხვევაც. მისი თქმით, ახლა გაცილებით რთული ვითარება გვაქვს, ვიდრე ოდესმე გვქონია.**

**ლიკა ბერიკაშვილი**

### გიორგი კეკელიძე:

## წუხელ მორიგი ახალგაზრდა დაიღუპა ამ საშინელი სენით



**...დღეს ერთ გადაცემაში დამპატიჟეს მოზარდების ნარკოდამოკიდებულებაზე და მენტალურ ჯანმრთელობაზე სასაუბროდ. სასტიკი ბედის ირონიით, წუხელ მორიგი სრულიად ახალგაზრდა ადამიანი დაიღუპა ამ საშინელი სენით. მას ვიცნობდი, მაგრამ ცხადად მახსოვს, რადგან ჩემი ცხოვრების ურთულეს მონაკვეთს ეხება ეს ნაცნობობა.**

**ეს სიკვდილი და ცოცხლები ხომ ასობით იტანჯებიან ჩემ თვალწინ. ირიბად, თავისუფლების (ამ სიტყვის უპრიმიტიულესი გაგებით) სახელით შემოპარებული ბოდვა, რომ „ნარკოტიკი მოსულა... და რომ, ადამიანს რასაც უნდა, იმას იზამს, მისი საქმეა“ – სასწრაფოდ განზეა გასაწევი. ადამიანს რასაც უნდა – არა, რაც ნარკოტიკს უნდა, იმას აკეთებს ადამიანი. ეს კალამბური კი არა, გამოცდილი და დადასტურებული ამბავია“...**

## გერმანელი „ბირჩები“ ბუნდესტაგში

**გერმანიის ბუნდესტაგმა კანაფის ნაწილობრივ ლეგალიზებას დაუჭირა მხარი. 1 აპრილიდან გერმანიაში მცხოვრები სრულწლოვანი პირები შეძლებენ, სახლში 3 ძირი კანაფი დარგონ. სახლის გარეთ ნებადართული იქნება 25 გრამამდე კანაფის ფლობა, საკუთარ სახლებში კი მოქალაქეებისთვის ლიმიტი 50 გრამი იქნება.**

გარდა ამისა, 1 ივლისიდან შესაძლებელი იქნება სპეციალური არაკომერციული კლუბების შექმნა (არაუმეტეს 500 ადამიანისა), რომლებიც კანაფის კულტივაციით იქნებიან დაკავებულები და უფლება ექნებათ, ერთამენთს პირადი მოხმარებისთვის თვეში მაქსიმუმ 50 გრამი კანაფი გადასცენ. კანაფის საჯარო გამოყენება კვლავ აკრძალული იქნება სკოლებში, სპორტულ დაწესებულებებში და მათგან 100 მეტრის რადიუსში. **გერმანიის ჯანდაცვის მინისტრის კარლ ლაუტერბახის განცხადებით, ახალი კანონის მიზანი „შავ ბაზართან“ ბრძოლა იქნება. მისივე თქმით, მოქმედმა ნარკოპოლიტიკამ კრახი განიცადა, ვინაიდან „მომხმარებელთა რიცხვი, განსაკუთრებით, ახალგაზრდებს შორის, სულ უფრო იზრდება“.**

## განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ხანახმად კოჯაევის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ხანახმად კოჯაევი (პ/ნ 36001047564), საგარეჯო, ს. ქვემო ლამბალო, მე-13 ქ. №59

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
საგარეჯო, სოფელი ლამბალო (საკადასტრო კოდი: 55.21.51.000.280).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 20938.63 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 26 თებერვალი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 12 მარტი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP96364224;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 963642

6. **მოვალე:** ხანახმად კოჯაევი (პ/ნ 36001047564), საგარეჯო, ს. ქვემო ლამბალო, მე-13 ქ. №59
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP96364224; ლოტის ნომერი: 963642).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 12 მარტის 12:00 საათამდე.

---

## განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს რამილ გურბანოვის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** რამილ გურბანოვი (პ/ნ 28001000066), მარნეული, ს. ყიზილაჯლო, მოდი ნახეს ქ. №69

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
მარნეული, ს. ყიზილაჯლო, მოდი ნახეს ქ. №69 (საკადასტრო კოდი: 83.01.14.169).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 11760.45 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 26 თებერვალი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 12 მარტი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP96364324;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 963643

6. **მოვალე:** რამილ გურბანოვი (პ/ნ 28001000066), მარნეული, ს. ყიზილაჯლო, მოდი ნახეს ქ. №69;

ფინარა ალიევა (პ/ნ 28001017196), მარნეული, ს. ყიზილაჯლო, ჰიდრის ზეინალოვის ქ. №87

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP96364324; ლოტის ნომერი: 963643).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 12 მარტის 12:00 საათამდე.

---

## განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ელშან მამედოვის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ელშან მამედოვი (პ/ნ 28001044371), მარნეული, ს. ალგეთის ყურძნის მეურნეობა

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
მარნეული, კაპანახჩის ტერიტორიული ერთეული, ს. ალგეთი (საკადასტრო კოდი: 83.06.11.049).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 27412.43 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 26 თებერვალი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 12 მარტი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP96290124;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 962901

6. **მოვალე:** ელშან მამედოვი (პ/ნ 28001044371), მარნეული, ს. ალგეთის ყურძნის მეურნეობა;

ადილ მამედოვი (პ/ნ 28801127158), მარნეული, ს. ალგეთის მევენახეობის მეურნეობა

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP96290124; ლოტის ნომერი: 962901).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 12 მარტის 12:00 საათამდე.

---

## განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ეკატერინა მიქაუტაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ეკატერინა მიქაუტაძე (პ/ნ 62004026667), ხობი, გოგებაშვილის 58

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
წყალტუბოს რაიონი, სოფელი მესხეთი (საკადასტრო კოდი: 29.12.31.509 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 43656.31 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 26 თებერვალი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 12 მარტი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP96364124;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 963641

6. **მოვალე:** ეკატერინა მიქაუტაძე (პ/ნ 62004026667), ხობი, გოგებაშვილის 58;
ოთარ მიქაუტაძე (პ/ნ 58001008406), ხობი, გოგებაშვილის 52
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP96364124; ლოტის ნომერი: 963641).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 12 მარტის 12:00 საათამდე.

# განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს მარალ ბაქიევას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მარალ ბაქიევა (პ/ნ 28001076381), მარნეული, ს. ალგეთი და თეთრიწყარო, ს. წინწყარო

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
მარნეული, ს. ალგეთი, 36-ე ქუჩა №9 (საკადასტრო კოდი: 83.03.24.198 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 2000 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 26 თებერვალი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 12 მარტი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP96364024;

აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 963640

6. **მოვალე:** რაფაელ ემინაგაროვი (პ/ნ 28001070985), თეთრიწყარო, ს. წინწყარო;

მარალ ბაქიევა (პ/ნ 28001076381), მარნეული, ს. ალგეთი და თეთრიწყარო, ს. წინწყარო;

ჯუმშუდ ემინაგაროვი (პ/ნ 28001033445), მარნეული, ს. ალგეთი, მე-8 მე-2 ჩიხი №5.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP96364024; ლოტის ნომერი: 963640).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 12 მარტის 12:00 საათამდე.

## საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟი

# დადგენილება

## არბიტრაჟის სახელით საჯარო შეტყობინების შესახებ

საქმე №01-637/2023

**ქ.თბილისი** **23 თებერვალი, 2024 წელი**

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის არბიტრმა თეა ხამხაძემ, მხარეთა მონაწილეობის გარეშე განვიხილე სარჩელის საჯაროდ გავრცელების საკითხი.

**გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :**

საქართველოს საარბიტრაჟო პალატას საარბიტრაჟო სარჩელით მომართა ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიამ“ შპს „რაიმონდ ბაკურიანის“, შპს „მედეას“ და გურამ გოგოლაძის მიმართ, თანხის დაკისრების და იპოთეკის საგნების რეალიზაციის შესახებ.

სარჩელისა და მასზე თანდართული მასალების ასლები, ასევე არბიტრაჟის უწყება და არბიტრაჟის დებულება, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულებით დადგენილი წესების შესაბამისად, არბიტრაჟისათვის ცნობილ მისამართზე გაეგზავნათ მოპასუხეს, მოპასუხე ორგანიზაციის დირექტორს და მოპასუხე ორგანიზაციის დამფუძნებელ პარტნიორებს, მაგრამ მისამართზე არყოფნის და მისამართის შეცვლის გამო საფოსტო გზავნილები ადრესატებს ვერ ჩაბარდათ.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-17 მუხლის თანახმად თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის არბიტრაჟის შეტყობინების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება და არბიტრაჟის მიერ ამ დებულების მე-16 მუხლით გათვალისწინებული შეტყობინების მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა, არბიტრაჟს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება არბიტრაჟის შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში არბიტრაჟის შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

არბიტრაჟს მიიჩნია, რომ ვინაიდან მოპასუხეებს, ასევე მოპასუხე ორგანიზაციების დირექტორს და დამფუძნებელ პარტნიორებს არბიტრაჟისათვის ცნობილ მისამართებზე გაგზავნილი სარჩელი და თანდართული მასალები ვერ ჩაბარდათ და ამასთან მათი სხვა ადგილსამყოფელის შესახებ არბიტრაჟისათვის უცნობია, მოპასუხეებს სარჩელის და თანდართული მასალების თაობაზე უნდა ეცნობოთ საჯარო შეტყობინებით.

**ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:**

ვიხელმძღვანელე საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-2, მე-17 მუხლებით და

**დ ა ვ ა დ გ ი ნ ე :**

1. მოპასუხეებს შპს „რაიმონდ ბაკურიანს“, შპს „მედეას“ და გურამ გოგოლაძეს საქართველოს საარბიტრაჟო პალატა წინამდებარე პუბლიკაციით ატყობინებს შემდეგს:

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის წარმოებაშია ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ საარბიტრაჟო სარჩელი შპს „რაიმონდ ბაკურიანის“, შპს „მედეას“ და გურამ გოგოლაძის მიმართ, თანხის დაკისრების და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის შესახებ.

**სასარჩელო მოთხოვნა:**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 895-ე და 896-ე მუხლების საფუძველზე შპს „რაიმონდ ბაკურიანს“, შპს „მედეას“ და გურამ გოგოლაძეს ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ სასარგებლოდ დაეკისროთ:

06.10.2020 წლის №615.2215895.001-002 ხელშეკრულების საფუძველზე 1698960.29 ლარის გადახდა;

06.10.2020 წლის №615.2215895.001-003 ხელშეკრულების საფუძველზე 2437750.08 ლარის გადახდა;

09.10.2020 წლის №615.2215895.001-004 ხელშეკრულების საფუძველზე 1316046.75 ლარის გადახდა;

შპს „რაიმონდ ბაკურიანს“, შპს „მედეას“ და გურამ გოგოლაძეს დაეკისროთ საარბიტრაჟო მოსაკრებელის 30000 ლარის და საჯარო რეესტრის ამონაწერის განახლების საფასურის 13 ლარის გადახდა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 301 მუხლის საფუძველზე დადგინდეს იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის, მდებარე ბორჯომის რ-ნი, დაბა ბაკურიანი, „დიდველი“ (ს/კ 64.10.09.262) რეალიზაცია.

იმ შემთხვევაში, თუ იპოთეკის საგნის რეალიზაციით სრულად არ დაკმაყოფილდება ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ მოთხოვნა, სამოქალაქო კოდექსის 301 მუხლის 1[1] ნაწილის და გენერალური ხელშეკრულების 6.3-6.4 პუნქტების, თავდებობის ხელშეკრულებების 5.5 პუნქტის თანახმად დადგინდეს, რომ: აღსრულება მიექცეს მოპასუხეთა კუთვნილ ნებისმიერ ქონებაზე. ამასთან, განისაზღვროს, რომ არ არის სავალდებულო ბანკმა, პირველ რიგში, იძულებითი აღსრულება დაიწყოს უზრუნველყოფის საგნებიდან. ბანკი უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ, იძულებითი აღსრულება პირველ რიგში მიაქციოს მოპასუხეთა კუთვნილ სხვა ქონებაზე.

2. საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების 26-ე მუხლის თანახმად მოპასუხეს უფლება აქვს 7 დღის ვადაში საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედ არბიტრაჟში წარმოადგინოთ წერილობითი შესაგებელი საარბიტრაჟო სარჩელში მითითებულ ფაქტებსა და გარემოებებზე ან შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელი, რომლებშიც მითითებული უნდა იყოს:

ა) მხარეთა სახელწოდებები;

ბ) მისამართები (ადგილსამყოფელი);

გ) გარემოებები და მტკიცებულებები, რითაც შეიძლება დადასტურდეს შესაგებელში (შეგებებულ სარჩელში) მითითებული მოთხოვნები და გარემოებები;

დ) შესაგებელზე (შეგებებულ სარჩელზე) თანდართული საბუთების ნუსხა.

3. შპს „რაიმონდ ბაკურიანს“, შპს „მედეას“ და გურამ გოგოლაძეს ეცნობოთ, რომ საქმის განხილვა დანიშნულია 2024 წლის 19 მარტს, 16:30 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჟიული შარტავას ქ. 40, სართული 11.

4. შპს „რაიმონდ ბაკურიანს“, შპს „მედეას“ და გურამ გოგოლაძეს განემარტოთ, რომ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის თანახმად თუ მხარე არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება საქმის განხილვაზე ან არ წარმოადგენს თავის პოზიციასა და მტკიცებულებებს, არბიტრაჟს შეუძლია განაგრძოს საქმის განხილვა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-16 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად თუ საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა მხარე, რომელიც გაფრთხილებული იყო ამ მუხლით დადგენილი წესით და არბიტრაჟისათვის არ უცნობებია გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ, ასევე არ წარუდგენია თავისი პოზიცია და მტკიცებულებები, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მეორე მხარე არ მოითხოვს საქმის განხილვის გადადებას.

5. შპს „რაიმონდ ბაკურიანს“, შპს „მედეას“ და გურამ გოგოლაძეს ეცნობოთ, რომ საქმეს განიხილავს საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის არბიტრი თეა ხამხაძე, ქეთევან დუმბაძის მდივნობით. მათვე განემარტოთ, რომ საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-4 მუხლის თანახმად უფლება აქვთ გზავნილის ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში წერილობით მომართონ არბიტრაჟს საქმის განმხილველი არბიტრის ან მდივნის აცილების შესახებ, სადაც უნდა მიეთითოს აცილების საფუძველი და მოტივები.

6. შპს „რაიმონდ ბაკურიანს“, შპს „მედეას“ და გურამ გოგოლაძეს განემარტოთ, რომ სარჩელი და თანდართული დოკუმენტები, ასევე უწყება საქმის განხილვის შესახებ, მოპასუხისათვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. შპს „რაიმონდ ბაკურიანს“, შპს „მედეას“ და გურამ გოგოლაძეს განემარტოთ, რომ საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულება საქმის წარმოების წესების შესახებ გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე: matsne.gov.ge/document/view/1179539?publication=0 და საქართველოს საარბიტრაჟო პალატის ვებგვერდზე acg.org.ge/img/debuleba.pdf

8. წინამდებარე დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“.

9. დადგენილება ძალაში შედის გამოტანის მომენტიდან.

ევრობასკეტი

# იცინის ის...



**თაოგათა ცვლა რომ ურთულესი პროცესია, საყოველთაოდაა ცნობილი, ამიტომ თითოეული შეხვედრის შეფასებისას ზომიერების დაცვაა საჭირო, ეს კი ემოციების დაცხრომასა და ცივი გონებით მსჯელობას მოითხოვს. ჰოდა, ჩვენც ვცადოთ ობიექტურობის დაცვა, მით უმეტეს ევრობასკეტის სასტარტო შეხვედრის წაგებით ურემი ჯერ არ გადაბრუნებულა და მდგომარეობის გამოსწორება, თუნდაც იმავე მეტოქესთან სავარაუდოდ რევანშის აღების შემთხვევაში ჯერაც შესაძლებელია.**

### დანია – საქართველო 75:69
(12:23, 16:14, 22:16, 25:16)

ფიბას რეიტინგში ჩვენ 23-ე პოზიცია გვიკავია, სკანდინავიელებს 58-ე, თანაც აქამდე მათთან გამართული 4 თამაშიდან 3 მოგებული გვქონდა. შესაბამისად, შესვენებამდე მოპოვებული კომფორტული უპირატესობა სავსებით ლოგიკური გახლდათ, მაგრამ თვალშისაცემი გახლდათ აგრეთვე მასპინძელთა უპირატესობა ორივე ფარქვეშ ბრძოლაში, საკალათბურთო აქსიომის თანახმად კი აღნიშნულ კომპონენტში მოწინააღმდეგის დაჩაგვრა წარმატების საწინდარს წარმოადგენს. საბოლოოდ ასეც მოხდა მაშინ, როცა ჩრდილოელებს გუნდის ტრავმირებული ლიდერი შილდსი აკლდათ.

დანაკლისი ჩვენც გვქონდა სანაძისა და ანდრონიკაშვილის სახით, მაგრამ სამაგიეროდ დაგვიბრუნდა ბურჯანაძე. მაშ, რა მოხდა ნესტვედ-არენაზე? უპირველესად, გასათვალისწინებელია ჯვაროსანთა ახალ თავკაც **ალექსანდარ ჯიკიჩის** ფაქტორი, რომელიც ხეირიანად ჯერაც არ იცნობს შეგირდთა ჭეშმარიტ შესაძლებლობებს ისევე, როგორც ასევე ახალი საკვანძო ფიგურა ჯო ტომასონი, რომელმაც 16 მოგროვებული ქულით საიმედო დებიუტი კი გამოაცხო, მაგრამ პარტნიორებთან შესათამაშებლად და სერბი დამრიგებლის ტაქტიკურ სქემებში გასარკვევად დრო სჭირდება.

ალბათ, გარკვეულწილად ამითაც უნდა აიხსნას შერმადინის მხოლოდ 4 ქულა, რადგან მასთან ბურთი თითქმის არ აღწევდა უბრალო მიზეზის გამო – ამერიკელი გამთამაშებლისთვის იგი ჯერაც უცხო ხილია.

ეტყობა, მკაცრად არ უნდა განვსაჯოთ დამარცხებული მთავარი მწვრთნელიც, რომელმაც მეტისმეტად დიდი ნდობა გამოუცხადა ნაკრების ახალგაზრდა წევრებს – იგი ხომ თანდათან შედის როლში.

ამავე დროს, გამოიკვეთა დადებითი სიმპტომებიც – მაგალითად ჯერაც ჭაბუკი უკანახაზელი ოჩხიკიძე, გუნდის კაპიტანმა შენგელიამ კი კიდევ ერთხელ გაიბრწყინა 27 ქულით.

რაც შეეხება მეტოქეს, ვიკინგთა შთამომავლებმა უკვე მერამდენედ გაგვაოცეს უტეხი სულით და საკუთარი ძალების რწმენით. დღეს 21 საათზე თბილისი არენაზე მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ სერბეთს დავუხვდებით და დიდი სპორტიდან ვალმოხდილ **გიორგი ცინცაძეს** გავაცილებთ.

ოვალური ბურთი

# პლუს ოთხი




**საქართველოს ნაკრებს რუმინეთთან მატჩისთვის მზადების პროცესში ოთხი მორაგბე შეუერთდა.**

**რიჩარდ კოკერილმა** გუნდში ვასილ ლობჟანიძე, ნიკოლოზ სუთიძე, ლუკა ჯაფარიძე და დემურ ეფრემიძე გამოიძახა.

„ბორჯღალოსნები" რაგბი ევროპის ნახევარფინალში 2 მარტს, თბილისში, „მიხეილ მესხზე" უმასპინძლებენ რუმინეთის ნაკრებს და გამარჯვებული ფინალში თამაშის უფლებას მოიპოვებს.

ამასობაში საფრანგეთის ტოპ 14-ის მე-16 ტურში „ლიონმა" „ოიონა" 43:26 დაამარცხა, რაშიც ძალიან დიდი წვლილი **დავით ნინიაშვილმა** შეიტანა. ქართველმა ვარსკვლავმა მორიგი ბრწყინვალე მატჩი ჩაატარა და ორი ლელო მიითვალა. ნინიაშვილმა მეტოქის ჩათვლის მოედანს 26-ე და 65-ე წუთებზე უწია და თავის გუნდს გამარჯვებაში დაეხმარა. მას სეზონში 6 ლელო დაუგროვდა, ლიონი კი მე-10 ადგილზეა და 2 მარტს ბაიონს უმასპინძლებს.

მოვლენის შემდეგ

# ოცნებას აიხდენს

**UFC-ს პირველი ქართველი მსოფლიოს ჩემპიონი ილია თოფურია ლა ლიგის უახლოეს ტურში „სანტიაგო ბერნაბეუზე" „რეალისა" და „სევილიას" მატჩს გახსნის, ხოლო მოგებულ ქამარს ადგილობრივ პუბლიკას წარუდგენს.**

სიმბოლურად სწორედ ის შეიყვანს ბურთს თამაშში. ინფორმაციას Marca ავრცელებს. ცნობილია, რომ ილია მადრიდის „რეალის" გულშემატკივარია და სურს, რომ ერთი ბრძოლა „სანტიაგო ბერნაბეუს" სტადიონზე ჩაატაროს.

**„არავის ვაყენებ შეურაცხყოფას, მაგრამ ყველაზე მეტად ესპანურ ღირებულებებს მადრიდის „რეალი" წარმოაჩენს. ამიტომაც, მიყვარს ეს კლუბი. დიახ, „ვალენსიას" „რეალი" მირჩევნია. დღეს პირველად შევხვდები ფლორენტინო პერესს და ძალიან აღელვებული ვარ. ბრძოლის დამთავრების შემდეგ დამიკავშირდა და ტიტულის მოგება მომილოცა"**, – თქვა თოფურიამ.

შეგახსენებთ, რომ ილია თოფურია საქართველოსა და ესპანეთის სახელით გამოდის. მან ქამრისთვის ბრძოლაში ქვემსუბუქ წონით კატეგორიაში ალექსანდერ ვოლკანოვსკი დაამარცხა.



# მადრიდში 16 წლის ბიჭმა 23 წლის ქართველი დაჭრა

**ინფორმაციას ადგილობრივი მედია ავრცელებს და წერს, რომ შემთხვევა, 22 თებერვალს, საღამოს, ვილავერდეს რაიონში, მანოხო დე როსას ქუჩაზე მოხდა.**

მედია წერს, რომ საქართველოს მოქალაქეს, ერთ-ერთ სუპერმარკეტთან, ორი არასრულწლოვანი ჯერ ბოთლით ემუქრებოდა, მოგვიანებით კი ერთ-ერთმა ის ცივი იარაღით დაჭრა. რა გახდა დაპირისპირების მიზეზები, ამ დროისთვის უცნობია.

სამართალდამცველების ინფორმაციით, მათ და ექიმებს კაცი შოკურ მდგომარეობაში დახვდათ და მას ძლიერი სისხლდენა ჰქონდა. დაჭრილს გადაუდებელი დახმარება ჩაუტარდა, რის შემდეგაც ის საავადმყოფოში გადაიყვანეს. ამ დროისთვის მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება. დაკავებული 16 წლის ბიჭი კი ადგილობრივმა პოლიციამ ქალაქის პროკურატურის არასრულწლოვანთა განყოფილებას გადასცა.

# 35 წლის ქალი ცოცხლად დაწვეს!

**ოჯახი 35 წლის თეონა მახათაძის საქმის ობიექტურ გამოძიებას ითხოვს – ქალი ხეჩინაშვილის კლინიკაში ერთთვიანი მკურნალობის მიუხედავად ვერ გადაარჩინეს. გოგონას სხეულის 75 % ჰქონდა დამწვარი. ოჯახი ამტკიცებს, რომ თეონა მახათაძე მოკლულია.**

მახათაძეების თქმით, რეანიმაციაში, ახალგაზრდა ქალმა დებს უთხრა, რომ საბედისწერო ამბავს მაშინვე მოუყვებოდა, როგორც კი შეძლებდა, თუმცა ის ისე დაიღუპა, რომ დებისთვის თავდასხმის ამბის მოყოლა ვერ მოასწრო. ოჯახი დარწმუნებულია, რომ თეონა მახათაძე ცოცხლად დაწვეს, დანაშაულის მოტივი კი შურისძიებაა, სხვა ვერაფრით ხსნიან როგორ შეიძლება ახალგაზრდა ქალს ბენზინი გადაესხა და ცეცხლი მოეკიდებინა. ყველაფერი 19 იანვარს დაიწყო. ფოლადაანთკარში, ახალგაზრდა ქალისა და მისი მეგობარი მამაკაცის რეპერი „ტურბოს" სახლში.



ძმის მტკიცებით, თეონა მახათაძეს მუსიკოსის კანონიერი ცოლი მიუვარდა, ფიზიკურად გაუსწორდა და სამი შვილის დედა დაწვა. ზარი 112-ში თეონას მობილური ტელეფონიდან შევიდა, თუმცა ის კლინიკაში არა გადაუდებელი დახმარების ცენტრმა, არამედ რეპერმა „ტურბომ" შეიყვანა. რეპერმა, რომელიც თეონასთან რამდენიმეწლიანი თანაცხოვრება ჰქონდა, ოჯახს ახალგაზრდა ქალის ცოცხლად დაწვის შესახებ მხოლოდ დამწვრობის ცენტრში მისი მიყვანიდან ხუთი დღის შემდეგ შეატყობინა. ხეჩინაშვილის კლინიკაში 75 პროცენტიანი დამწვრობით შეყვანილ ახალგაზრდა ქალთან ოჯახის წევრებმა მხოლოდ რამდენიმწამიანი გასაუბრება მოასწრეს. შემდეგ მისი მდგომარეობა დამძიმდა და ექიმებმა მართვით სუნთქვაზე გადაიყვანეს. თეონამ დასთან რეპერის დაცვა სცადა.

ლევანი, რომელზეც ყველაზე მეტად ნერვიულობდა დამწვარი ქალი, ლევან აივაზიანია – იგივე რეპერი „ტურბო". რომელთანაც მან რამდენიმე წელი იცხოვრა. სწორედ მან უნდა იცოდეს ყველაფერი, რაც 19 იანვრის საბედისწერო საღამოს, სოფელ ფოლადაანთკარში მოხდა. რადგან ის იყო ერთადერთი თვითმხილველი, ვინც ამ დროს თეონა მახათაძესთან ერთად იმყოფებოდა. ოჯახი ამბობს, რომ რეპერმა „ტურბომ" ჩვენება რამდენჯერმე შეცვალა რაც მათთვის დიდი ეჭვის საბაბია. „ტურბოს" მეუღლე იზაბელა ფირანიშვილია. ცოცხლად დამწვარი ქალის ოჯახის ინფორმაციით, გამოძიებას ის გამოკითხული საერთოდ არ ჰყავს. შესაბამისად გამოძიებისთვის არც ისაა ცნობილი, ვინ ემუქრებოდა სიკვდილით შემთხვევამდე სამი კვირით ადრე თეონა მახათაძეს.

# ვინ არის მამის მკვლელობაში ბრალდებული კაცი?!



**გლდანში, შვილის მიერ მამის მკვლელობის საქმეზე ახალი დეტალები გახდა ცნობილი.** მოკლული გელა გამხიტაშვილია, რომელიც შვილმა, რეზი გამხიტაშვილმა სამზარეულოს დანით მოკლა. შემთხვევას დაკავებულის 12 წლის დაც შეესწრო.

**„დანით მოკლაო, ამბობენ, მე რომ ჩამოვედი, უკვე დამთავრებული იყო ყველაფერი. ოჯახში რა მოხდა, არ ვიცი. ერთი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული, სისხლისგან დაიცალაო, ეს ბიჭი არ გაქცეულა, სახლიდან გამოიყვანეს სამართალდამცავებმა. თუ არ ვცდები, კლინიკაში გარდაიცვალა, 49 წლის იყო დაღუპული. ხელოსანი, მშრომელი კაცი იყო, აქამდე კარგი ურთიერთობა ჰქონდათ მამა-შვილს, რა მოხდა, არ ვიცი, წყნარი ოჯახი იყო. სახლში დაკავებულის დაც იყო, სასწრაფოში ალბათ, იმან დარეკა"**, – აცხადებს მეზობელი.

მამის მკვლელობისთვის დაკავებულის, რეზი გამხიტაშვილის მეზობლების ინფორმაციით, ის წარსულშიც არაერთხელ იყო ნასამართლევი. **„მოკლული ძალიან კარგი კაცი იყო. ამ ბიჭს არ ვიცნობ, ნახევარჯერ დაჭერილი იყო, 2-ჯერ თუ 3-ჯერ იყო დაკავებული, ბავშვობიდან ციხეში ზის"**, – განაცხადა მეზობელმა.

# ...მეც ნერვები მაქვს, ახალგაზრდობას ვტოვებ ქსანში!



**...რაც არის მაქსიმუმი, იმას „დააჩაქუჩებთ", მეც ნერვები მაქვს, ახალგაზრდობას ვტოვებ ქსანში**, – ამ სიტყვებით მიმართა გიორგი შაქარაშვილის მკვლელობაში მსჯავრდებულმა **არჩილ გაგნიძემ** მოსამართლე ვაჟა ფუხაშვილს. გაგნიძე ითხოვს ერთი მოწმე მაინც მიიყვანონ, რომელიც სასამართლოზე იტყვის, რომ ის, 140-კილოიანი კაცი, როგორ ჩადიოდა ხევში არსებულ დაღმართში.

**„140-კილოიანი კაცი რომ ჩადიოდა იმ დაღმართში, ამას რომ იტყვის, ერთი მოწმე მაინც მომიყვანეთ. იმის იმედი არ მაქვს, რომ განსხვავებულ გადაწყვეტილებას მიიღებთ. რაც არის მაქსიმუმი იმას „დააჩაქუჩებთ", თქვენ მეუბნებით, რომ პატივი გცეთ? უნდა გამიგოთ პატივცემულო მოსამართლე, მეც ნერვები მაქვს და ახალგაზრდობას ვტოვებ ქსანში"**, – განაცხადა გაგნიძემ. ცნობისთვის, ნიკოლოზ რევაზიშვილს, ვახტანგ ჩიქოვანსა და არჩილ გაგნიძეს, ოქროს მოწმის გურამ ამირხანაშვილისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთას ედავებიან. მათ ასევე ბრალი წარდგენილი აქვთ ჯგუფურ ძალადობაშიც. ამავე ეპიზოდზე „ქემრის" 3 მგზავრი უკვე მსჯავრდებულია და მათ მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი დამდგარია, მათი საქმე ცალკე წარმოებად მიმდინარეობდა.



# ვიქტორია სირაძე — სულიერი და ფიზიკური სილამაზის ეტალონი

XX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება ქალბატონ ვიქტორია სირაძის გარეშე ძნელი წარმოსადგენია. იგი ბრძანდებოდა ამ ურთულესი და საინტერესო ეპოქის არა მარტო მოწმე, არამედ ერთ-ერთი აქტიური მონაწილე და შემოქმედი.

**ვიქტორია (ვიკა) მოსეს ასული სირაძე** დაიბადა 1929 წლის 24 მაისს, თბილისში.

1947 წელს დაამთავრა თბილისის მე-3 ქალთა საშუალო სკოლა, ოქროს მედლით. 1952 წელს, ასევე, წარჩინებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიურ-ტექნოლოგიური ფაკულტეტი და სწავლა განაგრძო ასპირანტურაში სილიკატების ტექნოლოგიის კათედრაზე.

სწავლის პერიოდში გამოირჩეოდა ორგანიზატორული ნიჭით და ლიდერის თვისებებით, რაც შეუმჩნეველი არ დარჩა და ანდეს კიდეც ჯერ ინსტიტუტის, შემდგომ რაიონის, დედაქალაქის კომკავშირული ორგანიზაციების მეთაურობა.

სრულიად ახალგაზრდა გახლდათ იგი, როცა 1955 წელს დააწინაურეს საქართველოს კომპარტიის თბილისის კიროვის (ახლანდელი კრწანისის რაიონი) რაიკომის პირველ მდივნად, ხოლო 1959 წლიდან იგი ორჯონიკიძის (ახლანდელი ვაკე-საბურთალოს) რაიონის პარტიის რაიკომის პირველ მდივანია. უმოკლეს ვადაში — ორი წლის მანძილზე, დაუღალავი და თაოსნობებით გამორჩეული შედეგიანი მუშაობით, ქალბატონმა ვიქტორიამ დამსახურებულად მოიპოვა ჩინებული ავტორიტეტი უმაღლესი სასწავლებლებითა და უმსხვილესი სამეცნიერო დაწესებულებებით დახუნძლულ რაიონში.

სამეცნიერო ინტელიგენციასთან ფაქიზი და მზრუნველი დამოკიდებულება მას თან გაჰყვა ხელმძღვანელ თანამდებობებზე ყოფნის მთელი პერიოდის მანძილზე. უნდა ითქვას, რომ სულიერი ცხოვრების წარმომადგენელთა არაერთი თაობა მთელი ცხოვრების განმავლობაში ღირსეულად აფასებდა ამ ურთიერთობას.

1961 წელს ვიქტორია სირაძე ჯერ კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანია, ხოლო შემდგომ — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი — იდეოლოგიური მიმართულების ხელმძღვანელი. ორი წლის შემდეგ დაინიშნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, ხოლო 1973 წელს, რესპუბლიკაში ახალი ხელმძღვანელობის მოსვლის შემდეგ, დააბრუნეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად.

1978 წელს ქალბატონი ვიქტორია აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ.

1986 წლიდან იგი სათავეში ჩაუდგა საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკურ საბჭოს.

1989-1990 წლებში, დამსახურებულ პენსიაზე ყოფნისას, იგი მიიწვიეს საქართველოს მიმისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მრჩევლის პოსტზე, პარალელურად კი იყო (1992-1995 წლებში) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბუნებრივი რესურსებისა და საწარმოო შემსწავლელი კომისიის მეცნიერ-თანამშრომელი.

ვიქტორია სირაძე ორმოც წელზე მეტ ხანს გახლდათ დეპუტატი:

1955-1990 წლებში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი (მეორე, მეხუთე, მეექვსე, მერვე, მეცხრე, მეათე და მეთერთმეტე მოწვევის);

1962-1966 წლებში — საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოსი (მეექვსე მოწვევის); 1989-1991 წლებში — სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა.

1955-1991 წლებში იყო პროფკავშირების ცენტრალური საბჭოს და მისი პრეზიდიუმის წევრი.

1955 წლიდან მრავალგზის იყო არჩეული სსრ კავშირის სხვადასხვა თუ ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამგეობათა შემადგენლობაში, მათ შორის, სსრ კავშირის მშვიდობის მომხრეთა კომიტეტის, უცხოეთის ქვეყნებთან მეგობრობის საზოგადოებისა და ჟურნალისტთა კავშირის, საზოგადოება „ცოდნის" და სხვ.

მისი ბიოგრაფიის გამორჩეული შტრიხებია სსრ კავშირის დელეგაციის წევრობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 32-ე სესიაზე (1977 წ.); საბჭოთა კავშირის დელეგაციის მუდმივი წევრის სტატუსი აშშ-სსრკ-ის ყოველწლიურ დორტმუნდის კონფერენციაზე;

მიუხედავად დიდი დატვირთვისა, ქალბატონი ვიქტორია ცდილობდა არ ჩამორჩენოდა თავის მთავარი მოწოდების, ინჟინრის პროფესიის განვითარებას. უცხოეთში ყოფნისას იგი სტუმრობდა სამეცნიერო დაწესებულებებს, ეცნობოდა სიახლეებს, ამყარებდა კონტაქტებს და ცდილობდა მათ დაკავშირებას ქართველ კოლეგებთან.

ქალბატონი ვიქტორია თავისი სპეციალობით რამდენიმე შრომის, ერთი გამოგონების (დანერგილია) და მრავალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის პუბლიკაციის ავტორია უცხოეთის, საკავშირო და საქართველოს ჟურნალ გაზეთებში.

ვიქტორია სირაძე სახელმწიფოსგან და საზოგადოებისგან ერთობ დაფასებული მოღვაწეც გახლდათ. მას არ აკლდა არც კოლეგების, არც მოქალაქეთა გულწრფელი პატივისცემა და არც სახელმწიფო ჯილდოები. ამაზე მეტყველებს შრომის წითელი დროშის 4 ორდენი, 3 მედალი და ათობით სხვადასხვა საპატიო სიგელი. მიუხედავად ხანდაზმულობისა, სიცოცხლის ბოლო დღეებამდეც კი იგი სასურველი და პატივდებული მონაწილე და სტუმარი გახლდათ ფრიად საპატიო შეკრება-თავყრილობებისა.

ალბათ, ძნელად მოიძებნება იმ პერიოდში ვინმე, არამცთუ ქალბატონი, მამაკაციც კი, ვისაც ექნებოდა ასეთი მდიდარი, კეთილი საქმეებით დახუნძლული ბიოგრაფია ქვეყნის და საზოგადოების თითქმის ნახევარსაუკუნოვანი მსახურებისა.

იგი დიდი ხნის მანძილზე მმართველ პარტიასა და მთავრობაში კურირებდა რესპუბლიკის სულიერი და სოციალური ცხოვრების სფეროების — მეცნიერების, განათლების, კულტურის, ხელოვნების, ჯანმრთელობის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის, მედიის განვითარების პროცესს, ახალგაზრდობის აღზრდის, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული ურთიერთობის, რელიგიურ კონფესიებთან სახელმწიფოს ურთიერთობის ძირითად მიმართულებებს.

და თუ ამ სფეროებში იმდროინდელ წინსვლასა და წარმატებებზე ვისაუბრებთ, შეუძლებელია არ აღვნიშნოთ და ღირსეული პატივი არ მივაგოთ ამ მხრივ ქალბატონი ვიქტორიას ფასდაუდებელ ღვაწლს.

საზოგადოებისთვის იგი ცნობილი იყო არა მარტო მაღალი კომპეტენციით, პასუხისმგებლობით და შესანატრი პრინციპულობით, არამედ პირად მომხიბვლელობასთან ერთად სიკეთის კეთების, ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრისას გვერდში დგომის განსაკუთრებული უნარით, ადამიანებისადმი თბილი დამოკიდებულებით, მზრუნველობით.

მეუღლესთან, ცნობილ სახელმწიფო მოღვაწესთან სერგო რიგვავასთან ერთად შექმნილი ოჯახი სამაგალითო გახლდათ წესიერებით, ურთიერთპატივისცემით, სტუმრიანობით, ყურადღებიანობით, მეგობრული ატმოსფეროთი, ულალატობით. და მიუხედავად დიდი ოჯახური ტრაგედიისა და ტკივილისა, უდიდესი ნებისყოფის და სულიერი სიმტკიცის მაგალითი — ვიკა სირაძე სიცოცხლის ბოლო წუთებამდე არ გამტყდარა, დარჩა შეუდარებელ მეუღლედ, დედად, ბებიად, მართლაც ოჯახისა და სამეგობროს დედაბოძად, ფიზიკური და სულიერი სილამაზის და სრულყოფის ეტალონად.

გმადლობთ, ჩვენო უსაყვარლესო მეგობარო, კოლეგავ, ბევრი ჩვენთაგანისთვის მასწავლებელო, გზის გამკვალავო და, უბრალოდ, ღირსეულო ქართველო ქალბატონო, იმისთვის, რომ იყავი ქვეყნისთვის და ჩვენთვის.

**როინ მეტრეველი, ვიქტორ გელოვანი, ნათელა ვასაძე, ნათელა ლაღიძე, მადონა მგელაძე, ლამარა გაგუა, ლია ლომიძე, მანანა გოჩალეიშვილი, ვალერი ასათიანი, ნამი მიქოიანი, ვალერი ხინთიბა, მინდია უგრეხელიძე, მერაბ ჩანჩალაშვილი, ავთანდილ ჯორბენაძე, ანზორ ბურჯანაძე, დავით სალარიძე, გრიგოლ ონიანი, ლაშა ნადარეიშვილი, გიორგი მამაცაშვილი, ვადიმ ანასტასიადი, ვან ბაიბურთი, ალექსანდრე მოვსესიანი, აკაკი სიხარულიძე, რამაზ ყურაშვილი, თამაზ შილაკაძე, ნიკო ლეკიშვილი, ჯემალ კუხალაშვილი, რამაზ ხუროძე, ზურაბ ხონელიძე, სპარტაკ ქოზულია, მალხაზ ბაქალუა, ნუგზარ ფოფხაძე.**



# სერგი გორდელაძე

ცრემლი არ შეშრობიათ შენს თავზარდაცემულ მშობლებსა და უმცროს დაიკოს კოშმარული ერთი წლის განმავლობაში, ძვირფასო სერგი.

უპირველესად, რასაკვირველია, ესაა 42 წლის საფიცარი ახალგაზრდა ვაჟკაცის დაკარგვით მიყენებული აუნაზღაურებელი დანაკლისის გამოძახილი, მაგრამ იმავდროულად სიამაყის ცრემლიც გახლავთ, ასეთი ზნეკეთილი პიროვნება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ღირსეული იურისტი რომ აღუზარდეს სამშობლოს.

დედაქალაქის 179-ე საჯარო სკოლისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარჩინებით კურსდამთავრებულმა მაგისტრი იურისტის დიპლომი მიიღე სამართალმცოდნეობის კვალიფიკაციით და ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე, როგორც პრაქტიკოსმა პროფესიონალმა, წარმატებული საადვოკატო საქმიანობაც მოასწარი, კარიერის დასაწყისში კი მოღვაწეობდი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება — კვების პროდუქტების ექსპერტიზისა და მონიტორინგის სამსახურში უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე, იყავი საჯარო მოხელე.

განსაკუთრებით ენატრები მშობლიურ გურიას, ჩოხატაურსა და სოფელ ერკეთს, სადაც წინაპართა სუნთქვას გრძნობდი, ჩვენ კი შენთან ერთად ლაზათიანად ქართული მოლხენა მოგვენატრა. დღემდე ვერ მოგვინელებია, უკურნებელი სენის გამო ახალი მამაპაპისეული სახლის აშენება და საკუთარი ოჯახის შექმნა რომ არ დაგცალდა.

ნათელი და სანთელი, ჩვენო შეუხორცებელო იარა!

გორდელაძეების საგვარეულო კავშირის სახელით

**გურამ გორდელაძე**

# დამიცევ მე, დედოფალო!!!

## ივერიის ღვთისმშობლის ხატის დღესასწაული



25 თებერვალს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ იდღესასწაულა ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის ხსენების დღე.

ეს ხატი ეკუთვნოდა სახელგანთქმულ ქართველ თამარ მეფეს, რომელიც განსაკუთრებულად იმით გამოირჩეოდა, რომ კავკასიელთა, კერძოდ მთიელთა შორის ქრისტიანობის გავრცელებას ცდილობდა.

საგულისხმოა, რომ თამარ მეფის დროიდან ვიდრე 1768 წლამდე ეს ხატი იმყოფებოდა მთებში, სადაც მრავალი სასწაული განდიდდა... და, რა გასაკვირია, რომ ამ ხატს, ზეციურ დედოფალს ავადმყოფობის დროს მიმართავს ყველა მართლმადიდებელი, ქართველი, სომეხი, კეთოლიკე, ჩერქეზი თუ ოსი.

**გიული ლიპარტია**

# გორის გვირაბში 27-28 თებერვალს ავტოტრანსპორტის მოძრაობა შეიზღუდება

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 88-ე კმ-ზე მდებარე გორის საავტომობილო გვირაბში, გეგმური პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარების მიზნით, 2024 წლის 27 თებერვლის 23:00 სთ-დან 28 თებერვლის 03:00 სთ-მდე გვირაბის – სენაკი-თბილისის, ხოლო 28 თებერვლის 03:00 სთ-დან 07:00 სთ-მდე გვირაბის თბილისი-სენაკის მიმართულებებზე იკრძალება ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა.

გილოცავთ!

# მრავალჟამიერ, სიხარულის ძევ!



ბატონი გივი სიხარულიძე ჭეშმარიტად გამორჩეული ქართველია.

საზოგადოება მას იცნობს, როგორც კარგ მწერალსა და მსახიობს, ასევე ცნობილია მისი წვლილი ქართულ ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში.

იცნობენ, როგორც კარგ მეგობარს, კაიყმას, კაცს, რომელსაც, ასაკის მიუხედავად, ბევრი ახალგაზრდა ვერ გაეჯიბრება ფიზიკურ აქტივობაში, ცურვასა თუ თხილამურებით სრიალში.

ცხოვრების ჯანსაღი წესი მისი მუდმივი თანამგზავრია.

ათეული წლებია, ქალაქის ნაირფერ ამქარს, კუსტბელებს რომ ეძახიან, იმ დიდი მეგობრობითაც რომ გამოირჩევიან, ერთმანეთის მიმართ, წლის ნებისმიერ დროს, ყოველ დილას, ალიონზე, ვარჯიშის წინ ერთმანეთის მოკითხვით, ახალი ამბების, ჭირისა თუ ლხინის გაზიარებით რომ იწყებენ, ბატონი გივი თავისი ხალისით, იუმორით, ღიმილით გამოხატავს თანადგომას დიდისა თუ პატარის მიმართ.

გივი ყველას მეგობარია...

ჩვენი აზრით, ძალიან იშვიათია კაცი, საკუთარ გვარს ასე ამართლებდეს, — გივი არა მარტო კუსტბელებისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის სიხარულის მიმნიჭებელია. მან მშვენივრად იცის, რომ გულს სიხარული აცოცხლებს და გივის არსებობაც სიხარულით, სიყვარულით, სიკეთით იწყება და... დიდი ხნის შემდეგაც ასე დამთავრდება...

კუსტბის საზოგადოება ვულოცავთ ბატონ გივის იუბილეს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ შემოქმედებით მოღვაწეობას.

მრავალჟამიერ, სიხარულის ძევ!



# „ევროპაკონცერტი“ წელს საქართველოში გაიმართება

**ქვეყანას ბერლინის ფილარმონიული ორკესტრი და მსოფლიო არტისტები ეწვევიან,** — ამის შესახებ წინანდილის ფესტივალის დირექტორმა, რეჟისორმა **დავით საყვარელიძემ** განაცხადა.

**„ევროპაკონცერტი ეწოდება ამ ღონისძიებას. თავად ირჩევენ ევროპის რომელიმე ქალაქს და ყოველ წელს პირველ მაისს მართავენ კონცერტს. შარშან ბარსელონაში ჩატარდა კონცერტი. ჩვენ ჩაფიქრებული გვქონდა, რომ მოგვეწვია ეს ორკესტრი და შეგვეთავაზებინა იქაურობა ამ კონცერტის ჩასატარებლად. 2021 წლიდან ვმუშაობთ ამ თემაზე. ორი წლის წინ ჩვენ მივიღეთ თანხმობა. 40-მდე ადამიანი ჩამოვიდა, შეარჩიეს წინანდალი და წელს, სწორედ პირველ მაისს გაიმართება ეს კონცერტი. ამ ყველაფერს გადაიღებს უდიდესი პლატფორმა - EUROARTS-ი. გადაიცემა პირდაპირი ეთერით 49 ქვეყანაში“,** — განაცხადა **დავით საყვარელიძემ.**

# თუ სიმართლეს შეესაბამება...
## ამერიკელები კვლავ დასხდნენ მთვარეზე

**ნახევარ საუკუნეზე ხანგრძლივი პაუზის შემდეგ პირველად, ამერიკული კოსმოსური ხომალდი მთვარეზეა. „ოდისევსი“ მთვარის სამხრეთ პოლუსთან ახლოს დაეშვა, სადაც, მეცნიერების ვარაუდით, შესაძლოა წყლის წყარო იყოს.**

ხომალდი ფლორიდის კანავერალის კოსმოდრომიდან გასულ ხუთშაბათს გაუშვეს. „ოდისევსი“ აღჭურვილია ექვსი სამეცნიერო ინსტრუმენტით, რომლებითაც შესაძლებელია მთვარის ზედაპირის შესწავლა და რადიოტალღების გაზომვა. მისიის მიზანია მთვარის სამხრეთ პოლუსის გარემოს შეფასება, რაც მნიშვნელოვანია ნასას გეგმის განსახორციელებლად, რომელიც 2026 წლის ბოლოს მთვარეზე ეკიპაჟიანი მისიის გაშვებას ითვალისწინებს.




# ტრამპი ქრისტიანული ღირებულებების დამცველად გვევლინება



დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ მეორე ვადით არჩევის შემთხვევაში, ის ქრისტიანულ ღირებულებებს დაიცავს.

**„ყველა კომუნისტური რეჟიმი, მთელი ისტორიის განმავლობაში, ცდილობდა ეკლესიების აღმოფხვრას ზუსტად ისე, როგორც ყველა ფაშისტური რეჟიმი მათ გაკონტროლებას“,** — განაცხადა აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა.

მისივე თქმით, აშშ-ში მემარცხენე რადიკალებს იმავეს გაკეთება სურთ. **„თუმცა ტრამპის ადმინისტრაციის პირობებში, ქრისტეს ჯვრებს ვერავინ შეეხება, ვფიცავ!“,** — აღნიშნა თეთრი სახლის ყოფილმა ლიდერმა.



# ჩინეთში „დრაკონის“ ნამარხი აღმოაჩინეს

**მეცნიერებმა ჩინეთის სამხრეთით თითქმის ხელუხლებლად შემონახული, 5-მეტრიანი წყლის რეპტილიის ნამარხი აღმოაჩინეს. გავრცელებული ინფორმაციით, ნამარხის ასაკი 240 მილიონ წელს შეადგენს და ის ტრიასული პერიოდიდანაა. ნამარხის ფორმის, ზედმეტად გრძელი კისრის ჩონჩხისა და აღმოჩენის ადგილმდებარეობის (ჩინეთი) გამო, მას მეცნიერებმა „დრაკონი“ უწოდეს.**

ოფიციალურად კი აღმოჩენილი არსების სამეცნიერო სახელი Dinocephalosaurus Orientalis-ია. სახეობა პირველად 2003 წელს გამოავლინეს და სამეცნიერო ნომენკლატურა მიანიჭეს. აღმოჩენილი ნამარხი კი მეცნიერებს საშუალებას მისცემს, პრეისტორიული წყლის რეპტილიის ანატომია სრულად გამოიკვლიონ.

# ძლიერი აფეთქებები მზის ზედაპირზე



**ნასა მზის ზედაპირზე დაკვირვებასაც განაგრძობს. კოსმოსური სააგენტოს ობსერვატორიამ მნათობზე ძლიერი აფეთქებები შენიშნა. სპეციალისტების თქმით, მზის ენერგია ჭარბი რაოდენობით გამოიყოფა, რაც, დიდი ალბათობით, ზეგავლენას მოახდენს რადიოკავშირზე, ელექტროქსელებზე და სანავიგაციო სისტემებზე.**

სპეციალისტები სიფრთხილისკენ მოუწოდებენ ორბიტაზე მყოფ ასტრონავტებს, რადგანაც აფეთქებები მზეზე განსაკუთრებულ საფრთხეს სწორედ კოსმოსურ ხომალდებს უქმნის.

# პარალიზებული, „დაჩიპული კაცი“ სმარტფონსა და კომპიუტერს მართავს




პირველმა ადამიანმა, რომელსაც Neuralink-მა თავის ტვინში ჩიპი ჩაუნერგა, აზრის ძალით კურსორის კონტროლი ისწავლა.

**„კარგი პროგრესი გვაქვს. როგორც ჩანს, პაციენტმა ოპერაცია კარგად გადაიტანა, რაიმე გვერდითი ეფექტების შესახებ არაფერი გვსმენია. პაციენტს შეუძლია ეკრანზე კურსორის გადაადგილება უბრალოდ ამაზე ფიქრის შემდეგ“,** — განაცხადა Neuralink-ის მფლობელმა. მასკი ასევე განმარტავს, რომ ახლა მისი კომპანიის სპეციალისტების მთავარი მიზანია, პაციენტმა კურსორით დაჭერა ისწავლოს. Neuralink-მა ადამიანს ჩიპი პირველად იანვრის ბოლოს ჩაუნერგა. ოპერაცია ჩაუტარეს პაციენტს პარალიზებული კიდურებით. სპეციალისტები პროგნოზირებენ, რომ ის სრულფასოვნად შეძლებს სმარტფონის და კომპიუტერის მართვას აზრის ძალით.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 — ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 28 თებერვალს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6530; ევრო - 2.8708;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3600;
100 რუბლი - 2.7962; თურქული ლირა - 0.0853;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5602;
1000 სომხური დრამი - 6.5790

**ამინდი 26 თებერვლისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | –4, | დღე +5 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | –8, | დღე +3 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +3, | დღე +17 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | –3, | დღე +12 |
| თბილისი: | ღამე | –2, | დღე +4 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge